დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:
ლია ჯალაღონია – ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თავმჯდომარე
ნანა გიორგობიანი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ეთერ ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი
მამუკა ხაჩიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი
მაია დოლაშვილი - უცხოური ენების ექსპერტი
დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი
დავით ხუციშვილი - ტექნოლოგიების ექსპერტი
ნინო თედიაშვილი - სახელმწიფო ენის ექსპერტი
ლია სვიმონიშვილი - მათემატიკის ექსპერტი
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ქეთევან ქობალია - სპორტის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	219634858

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ტყიბული
ფაქტობრივი მისამართი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფელი გურნა
საფოსტო ინდექსი	4300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი	https://bit.ly/4rUnCGd
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელფოსტა	gurna@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599533394, 595747647

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება NMES 8 26 0000201183, 22/02/2026 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა
	ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	23 და 24 მარტი 2026 წელი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი გურნა ***1*** შენობა (ორსართულიანი)
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი გურნა ***1*** შენობა (ორსართულიანი)
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი გურნა ***1*** შენობა (ორსართულიანი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 22 თებერვლის MES 8 26 0000201183 ბრძანების საფუძველზე, 23 და 24 მარტს ჩატარდა სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი. სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა როგორც დაწესებულების ძლიერი მხარეები, ისე სისტემური გამოწვევები.

სკოლა ხასიათდება განვითარებისაკენ მკაფიო მიმართულებითა და მაღალი სასკოლო კულტურით, რაც ვლინდება პოზიტიურ სასწავლო გარემოსა და გუნდურ მუშაობაში. თუმცა, საავტორიზაციო მოთხოვნებთან სრული თავსებადობის კუთხით გამოიკვეთა არსებითი მატერიალურ-ტექნიკური და სამართლებრივი ხარვეზები. კერძოდ, სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ამ ეტაპზე ოფიციალურად არ არის ჩაბარებული. აღნიშნულმა ფაქტორმა პირდაპირი გავლენა მოახდინა მატერიალური რესურსის სტანდარტზე და განაპირობა კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების სავალდებულო დოკუმენტების არქონა. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურული პროცესების გაჭიანურების გამო, სკოლამ ვერ მოასწრო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკის სათანადო ავეჯითა და რესურსებით აღჭურვა, რაც აუცილებელია სასწავლო გეგმის სრულფასოვანი რეალიზებისთვის.

მიუხედავად აღნიშნული მატერიალური ხარვეზებისა, დაწესებულება ავლენს მაღალ ორგანიზაციულ მზაობასა და შიდა კულტურულ რესურსს პრობლემების დროულად აღმოსაფხვრელად. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ხაზგასმული გამოწვევები საჭიროებს მყისიერ რეაგირებასა და შესაბამის უწყებებთან კოორდინაციას, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი მოსწავლეთათვის უსაფრთხო და სათანადო საგანმანათლებლო გარემო.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების მიერ ზღვრული რაოდენობა
	40	250

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობანაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	***რეკომენდაცია 1*** *- შემუშავდეს და დამტკიცდეს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კანონმდებლობის შესაბამისად.* ***რეკომენდაცია 2*** *- უზრუნველყოფილ იქნას სკოლის შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება რეაბილიტაციის პროცესის საბოლოო დასრულებისა და შენობის ჩაბარების შემდგომ.* ***რეკომენდაცია 3*** *- მოპოვებულ იქნას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/დასკვნა კომპეტენტური ორგანოს მიერ.* *ზემოაღნიშნული სამივე ხარვეზი აღმოიფხვრას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს* ***2027 წლის 30 აპრილისა****.*

ინდიკატორი N3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	***რეკომენდაცია*** *- სასწავლო პროცესის სათანადო მატერიალური გარემოს შესაქმნელად სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებისთვის საჭირო ინვენტარის (ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდები, სპეციალიზებული კარადები, ტუმბოები და სხვ.) ეტაპობრივი შეძენა/განახლება 2027 წლის 27 მაისამდე, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით. სკოლის ადმინისტრაციამ პერიოდულად აწარმოოს აქტიური კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთან (სამინისტრო/რესურსცენტრი) დაფინანსების ან ინვენტარით მომარაგების პროცესის დასაჩქარებლად.*
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	***რეკომენდაცია*** *- უზრუნველყოფილ იქნას სკოლის ბიბლიოთეკის აღჭურვა შესაბამისი და ფუნქციური საბიბლიოთეკო ავეჯით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებების გათვალისწინებით.აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს* ***2027 წლის 30 აპრილისა***
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

ინდიკატორი N....		

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.1.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სასურველია საბუნებისმეტყველო კათედრამ კურიკულუმის შემუშავებისა და გახორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შემუშავებაში ჩართოს სასკოლო საზოგადოება და მეტად მოარგოს მათ ინტერესებს.*
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*სასურველია დაწყებითი საფეხურის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემისა და სამიზნე ცნებების შესაბამისობა,შეძლებისდაგვარად სრულყოფილად იქნეს აღწერილი მაგალითები შედარებისათვის და კონტექსტ მაგალითი, რათა შესაძლებელი იყოს კომპლექსური დავალების პირობის უკეთესად გააზრება*
ინდიკატორი N2.1.1.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სასურველია, სამივე საფეხურის სპორტის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.*

ინდიკატორი N2.1.1.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ კათედრას ჰქონდეს არჩეული თანამშრომლობითი კულტურით კურიკულუმის ფორმა. იყოს თემების შესაბამისობა, საკითხების და რესურსების თანხვედრა და სხვა.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული*	*კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ საგნობრივ სტანდარტებს და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს,*

	სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*სასწავლო წლის დასასრულს დაწყებითების კათედრამ განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*სასურველია დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.*
ინდიკატორი N2.1.1.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში მიზანშეწონილია რესურსების სვეტის სრულყოფილად შევსება, კერძოდ: სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდების, ელექტრონული მისამართებისა და გამოყენებული მატერიალური რესურსების დეტალური მითითება. ასევე, სასურველია თემების სახელწოდებების ფორმულირება შესაბამისობაში იყოს საგნობრივ სტანდარტთან და კურიკულუმში ნათლად იყოს წარმოდგენილი თემების მიხედვით საათობრივი განაწილება.*
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში ქვეცნებების ტერმინოლოგია დაზუსტდეს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.*

ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის*	*სამივე საფეხურის კურიკულუმში სვეტის სახელწოდება „რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის“ ჩანაცვლდეს „სასწავლო რესურსებით“ და სრულად აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები*

	მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*ყველა საფეხურის კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები; კერძოდ, მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, დაზუსტდეს გამოყენებული ელექტრონული წყაროების (ბმულების) მისამართები, შეიტანონ გამოყენებული მატერიალური რესურსები.*
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*სასურველია, რუსულის მე-8, მე-9, მე-10 კლასების კურიკულუმებში გვხვდებოდეს მე–3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებები და შედეგები მეორე უცხოური ენის სტანდარტიდან*

ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*სასურველია, ინგლისურის მე-6 კლასის კურიკულუმის მეორე კომპლექსურ დავალებას ახლდეს კონტექსტ-მაგალითიც*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია, ორივე ენაში, უცხოური ენის კათედრამ შერეულად გამოიყენოს ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკები სწავლებისას.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საგაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*სასურველია სკოლამ შეიმუშაოს და იხელმძღვანელოს დამხამრე რესურსების ვალიდაციის წესის დოკუმენტით*

ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს ლაბორატორიის სრულად ეკიპირება 2027 წლის 27 მაისისათვის და სასურველია ამ დრომდე სკოლამ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს საკლასო ოთახების არამარტო შესაბამისი ავეჯით(კარადები, მაგიდები, ტუმბოები, თაროები), არამედ ახალი რეაქტივებით, მოდელებითა და ხელსაწყოებით შევსება, რათა არსებობდეს აუცილებელი პირობა ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი ფაქტორის - სკოლაში კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად, რომელიც თავისთავად გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ხოლო სასწავლო პროცესს გახდის სტანდარტით მისაღწევ შედეგზე ორიენტირებულს. სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს რომ ყველა საგნის მასწავლებელი ყავდეს შესაბამისი კომპეტენციით.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*საბაზო საფეხურზე გადმოგზავნილი სახვითი ხელოვნების და მუსიკის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და საჭიროებს უფრო მეტად დაკონკრეტებას კურიკულუმში ასახული თემების, საკითხების და კონკრეტული შემოქმედებითი დავალებების მიხედვით*
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში სვეტის სახელწოდება: „კომპლექსური დავალების იდეა“, ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით“, სრულად აისახოს ყველა ტიპის დავალება, რომელიც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და მიმართულია შუალედური მიზნების მიღწევისაკენ*

ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*საბაზო საფეხურის მათემატიკისკურიკულუმებში ქვეცნებების ტერმინოლოგია დაზუსტდეს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტების მიხედვით*

ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*მათემატიკის დავალებებში მკაფიოდ იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, რაც ნათელს გახდის შეფასების ვალიდურობას.*
ინდიკატორი N2.1.1.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სასურველია, საგაზო საფეხურზე, მე–7 და მე–8 კლასში, ინგლისურის მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს ერთი კონკრეტული პროდუქტის მომზადება თემაზე მუშაობის დასაწყისში. მე-9 კლასის შემოქმედებითი დავალების პირობა ლაკონურად და გასაგებად იქნეს ფორმულირებული. რაც შეეხება რუსულ ენას – კურიკულუმებში შეტანილ იქნეს შემოქმედებითი დავალებების განხორციელებადი რაოდენობა*
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*სასურველია, რუსულის მე-12 კლასის კურიკულუმებში გვხვდებოდეს მე–3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებები და შედეგები მეორე უცხოური ენის სტანდარტიდან*
ინდიკატორი N2.1.1.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*მე-9 კლასის ინგლისურის კურიკულუმში შეთავაზებული ვიდეო სამეზობლოს შესახებ შეიცვალოს რომელიმე ქალაქის ან ადგილის ზოგადი აღწერით, რაც მოსწავლეებს დავალების; „ლონდონის აღწერა“ შესრულებას უფრო გაუადვილებს. უცხოური ენის კათედრამ უზრუნველყოფს ინგლისურის მე-7 და მე-8 კლასებისა და რუსულის მე-7 კლასის კურიკულუმში შეთავაზებულ ბმულებზე წვდომა. გადაიხედოს რუსულის მე-10 კლასის კურიკულუმი; განახლდეს სკოლის დასახელება და მოსწავლეებს მიეწოდოს შესასრულებელი კომპლექსური დავალებების შედარებით მცირე რაოდენობა. მიწოდებულ შინაარსს ახლდეს შესაბამისი ბმულები (თუნდაც სქრინის ან სურათის სახით) „ძირითადი რესურს-მაგალითი“–სა და „მაგალითები შედარებისთვის“–ს სვეტებში.*

ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*სასურველია, რუსულის შუალედური მიზნების დამუშავებისას სასწავლო პროცესში მოხდეს მეტი ანალიტიკური (სამიზნე ცნებებზე მორგებული) მოდელის გამოყენება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი, შეფასებისას. ორივე საგანში მასწავლებლებმა წინასწარ გააცნონ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკები და საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების ფორმები უფრო მრავალფეროვანი (მოსწავლეთა ურთიერთშეფასება, მასწავლებლის თვითშეფასება, მასწავლებლის კომენტარი, დაკვირვების რუბრიკა, ლაპარაკის შეფასების რუბრიკა, შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის გეგმა, მოსმენის შეფასების რუბრიკა, მოძიებული ინფორმაციის შეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა პორტფოლიოები და ა.შ.) გახდეს.*
ინდიკატორი N2.2.2,2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*სასურველია, კათედრამ „დამხმარე რესურსების“ ნუსხაც იქონიოს სამუშაო მასალებში, როგორც სასწავლო პროცესში დამატებითი სახელმძღვანელოების გამოყენების მტკიცებულება.*
ინდიკატორი N2.2.2,2.1	*სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე*	*სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების საკითხები გაითვალისწინოს სასკოლო სასწავლო გეგმასა თუ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში.*

ინდიკატორი N2.2.2,3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს „უცხოური ენის კაბინეტებით სარგებლობის განრიგი".*
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რჩევა*
	(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	
ინდიკატორი N2.1.1.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მისიიდან გამომდინარე, სასურველია შემოქმედებითი დავალებების წილი გაიზარდოს საშუალო საფეხურზე.*
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში სვეტის სახელწოდება: „კომპლექსური დავალების იდეა", ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი დავალებით", სრულად აისახოს ყველა ტიპის დავალება, რომელიც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და მიმართულია შუალედური მიზნების მიღწევისაკენ*

ინდიკატორი N2.1.1.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*მე–11 კლასის კურიკულუმში რუსულ ენაში ძირითადი რესურსიდან (სახელმძღვანელო) გადატანილ იქნეს თემების შინაარსობრივი დასახელება.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*სასურველია, მე-12 კლასის კურიკულუმში გადაიხედოს დამხმარე რესურსები და მოხდეს მოსწავლეების დროით რესურსზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგება.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული ავტორიზაციის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია (წერილი №MES 1 26 0000539740; 07/05/2026), რომლითაც დაწესებულება სრულად დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს მატერიალური რესურსის სტანდარტთან მიმართებით.
ავტორიზაციის პროცესის დასრულებამდე (საბჭოს სხდომამდე), სკოლის მიერ ოფიციალურად იქნა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი შემდეგი დახარვეზებული ინდიკატორების გამოსწორების გზები და კონკრეტული ვადები:

1. **ინდიკატორი 3.4.1.1** – სკოლას არ გააჩნდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა **2027 წლის 30 აპრილი**.
2. **ინდიკატორი 3.5.1.1** – სკოლას არ გააჩნდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის შესაბამისი ავეჯი, კერძოდ, ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდა, მაგიდები, კარადები და სხვა საჭირო მოწყობილობები. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა **2027 წლის 27 მაისი**.
3. **ინდიკატორი 3.5.1.3** – სკოლაში ფიქსირდებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაკლოვანება, კერძოდ, ბიბლიოთეკისთვის არ იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი ავეჯი – კარადები, მაგიდები, ტუმბოები და სხვა. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა **2027 წლის 30 აპრილი**.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიჩნევს, რომ სკოლის მიერ შემოთავაზებული აქტივობები რეალისტურია და მიმართულია სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევისკენ. ვინაიდან დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა შეფასებებს და ავტორიზაციამდე წარმოადგინა მატერიალური რესურსის გაუმჯობესების მკაფიო ხედვა, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას. დასკვნის პროექტში ასახული ძირითადი შეფასებები და ინდიკატორების სტატუსები მოცემულ ეტაპზე რჩება უცვლელი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. **სკოლის ფილოსოფია**

1.1. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მისია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლა ქმნის უსაფრთხო, ინკლუზიურ და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა განივითაროს ცოდნა, უნარები და

ღირებულებები. სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პასუხისმგებლობის, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაზე, არამედ მის გააზრებაზე, პრაქტიკაში გამოყენებასა და პიროვნულ ზრდაზე. სკოლა ხელს უწყობს პროფესიონალი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული პედაგოგიური გუნდის ჩამოყალიბებას, სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას და თითოეული მოსწავლის წარმატების მხარდაჭერას.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლა მისიით და ხედვით განსაზღვრავს სკოლის როლს ,როგორც თანამედროვე ინოვაციურ და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო დაწესებულებისა, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა სრულფასოვანი აკადემიური და პიროვნული განვითარება. სკოლა თანამედროვე, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურითა და მოტივირებული, პროფესიონალი კადრებით, სასკოლო საზოგადოებასთან და სასკოლო თემთან აქტიური თანამშრომლობით ქმნის მოსწავლეზე, მის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ და უსაფრთხო გარემოს. .

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებები) შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. აღნიშნულმა ჯგუფმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, სკოლის პედაგოგების, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების, მშობლებისა და თემის დაინტერესებული წევრების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტი, რომელიც შემდეგ წარედგინა შესათანხმებლად და დასამტკიცებლად სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოს. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების შეთანხმებულ ხედვას სკოლის განვითარების შესახებ. დაწესებულებაში სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი წარიმართა ინკლუზიურად - დირექტორის შესაბამისი ბრძანებით(N2-41, 4.12.2023) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო სკოლის ფილოსოფიის ფორმულირება. ჯგუფმა უზრუნველყო სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის (მასწავლებლები, მშობლები) ჩართულობა, აზრთა ურთიერთშეჯერება და საერთო პრიორიტეტების გამოკვეთა. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (პერსონალი, მშობლები) გასაუბრებისა და ფოკუსჯგუფების შედეგად დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მათთვის ნაცნობი და გათავისებულია. რესპონდენტები აღიქვამენ ამ დოკუმენტებს, როგორც სკოლის ყოველდღიური საქმიანობის გეზისმიმცემს. ვინაიდან სკოლა მცირეკონტინგენტიანია და მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ თემთან, სკოლის ფილოსოფია ასახავს სოფლისა და თემის იმ მოლოდინებს, რაც საგანმანათლებლო გარემოს მიმართ არსებობს. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ არის მხოლოდ ფორმალური დოკუმენტი, არამედ წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულ პრინციპებს, რაც მყარ საფუძველს ქმნის სკოლის სტრატეგიული განვითარებისთვის.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის დაინტერესებული პირისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნას საჯარო სკოლა” სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;

ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

სამეურვეო საბჭოს ოქმი;

პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და

განვითარების ძირითადი ეტაპები განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები. სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. დოკუმენტის მიხედვით სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება შემდეგ სამოქმედო პრინციპებს: სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს 2026-2032 წლების პერიოდს და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დეტალურად ახდენს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს და შეიცავს მისიასთან თავსებად ისეთ მიზნებს, როგორიცაა: სასწავლო პრიცესი ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ასევე შეიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლას დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი და მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესითა და სხვა აქტივობებით.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია შემდეგი მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენება სახსრების მოსაზიდად, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული

განვითარება. სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდა სკოლის მიერ განხორციელებული ყოველწლიური თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების ჩამონათვალს და ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ კონკრეტულ ნაბიჯებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს, თუ რა პერიოდის განმავლობაში უნდა შესრულდეს ესა თუ ის აქტივობა, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შესაბამის რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფაც არის რეალისტური.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საჯარო სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; ბრძანება 2-41 სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ; სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის ოქმი #3; სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 24 მარტის ოქმი #6; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება;

1.2.2. **სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწრილია მონიტორინგისა და შეფასების პროცესები და მექანიზმები. მეთოდოლოგიაში გაწერილია განხორციელების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გაფორმდება ანგარიშის სახით , რომლის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. ანგარიში კი საფუძვლად დაედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, მითითებულია ვადები და პასუხისმგებელი პირების წერილობითი ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე. ასევე შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, განხორციელდა სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. აღნიშნული პროცესების დაცვით სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი და მოახდინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების რევიზია და შეიტანა ცვლილებები სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით რაც დადატურდა სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.</u>

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშ(ებ)ი, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი საშუალებები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო განხილვა

ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სკოლის სტენდი/საინფორმაციო დაფა. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გეგმის კორექტირება. ერთ-ერთ აქტივობად მოაზრებულია ანალიზისა და შეფასების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. ყოველი წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლემაც მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილი პროცესების შესაბამისად განახორციელა სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გახდა ცვლილებების განხორციელების მიზეზი რაც ხელს შეუწყბს სკოლის შემდგომ განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საჯარო სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; ბრძანება 2-41 სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ; სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის ოქმი #3; სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 24 მარტის ოქმი #6; შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული** -ეს დასტურდება სკოლის მიერ გადმოგზავნილი და ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტებით. სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით და დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება N2-45, 10.12.2025) სხვადადასხვა სტრუქტურული ერთეულის დებულებებით. თანამშრომლების სამუშაო სპეციფიკა აღწერილია მათ სამუშაო ხელშეკრულებებში. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით შექმნილია თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს, რომ სკოლა მუშაობდეს როგორც ერთიანი სისტემა და არა როგორც დანაწევრებული ჯგუფები, სადაც თითოეულ რგოლს თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს. დაცულია სამართლებრივი შესაბამისობა ფუნქციები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და სკოლის შინაგანაწესს/წესდებას.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი და ადგილზე ნანახი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები დადგენილი წესების მიხედვით არის განაწილებული. ამა თუ იმ სტრუქტურული

ერთეულის წევრმა იცის საკუთარი მოქმედების სფერო და საქმიანობაც განსაზღვრულია დროში (გეგმები, გრაფიკები და სხვ), რაც ხელს უწყობს საერთო საქმიანობის კოორდინირებულ განხორციელებას. სტრუქტურა ისეა აწყობილი, რომ მასწავლებელს ჰქონდეს მხარდაჭერა - განვითარების საშუალება, ხოლო ადმინისტრაცია ეხმარებოდეს მას ბიუროკრატიული თუ ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ გადაწყვეტილებები მიიღება კომპეტენციის ფარგლებში, რაც აჩქარებს სასკოლო ცხოვრების ნებისმიერ ასპექტს. სტრუქტურა ხელს უწყობს შემოქმედებით და საგანმანათლებლო ინიციატივებს. წესრიგი ემსახურება სწავლას. თუ სკოლაში ყველამ იცის თავისი საქმე, მასწავლებელს მეტი დრო რჩება სწავლების ხარისხის ასამაღლებლად.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 4 თანამდებობრივი ინსტრუქციები.

დანართი 4 ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციები დანართი 28 შინაგანაწესი.

დანართი 28 სამეურვეოს ოქმი N4 2020. 25.11 შინაგანაწესის დამტკიცების

დანართი 21 ადამინური რესურსების მართვა.

დანართი 21 ბრძანება 2-53 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მიღება, განვითარება და გათავისუფლება ხდება კანონისა და შიდა რეგულაციების მკაცრი დაცვით. მაგალითად, წარმოდგენილი და ადგილზე ნანახი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლამ ვაკანსია გამოაცხადა სკოლის ექთნის ვაკანსიაზე ოფიციალურ და საჯარო პლატფორმაზე Hr.gov.ge, რითაც

დაცულია გამჭვირვალობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპები. თანამშრომლების კვალიფიკაცია შეესაბამება თანამდებობის მოთხოვნებს, eschool -ის ელექტრონული ბაზის, სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმის დათვალიერების

ირკვევა, რომ მასწავლებლის განათლება და სტატუსი შეესაბამება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა“ და კანონმდებლობის მოთხოვნებს. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს (სამუშაო საათები, შვებულება, ანაზღაურება, ზეგანაკვეთური შრომა და სხვ). სკოლას აქვს პერსონალის შეფასების სისტემა (დირექტორის N2-53, 10.12.2026 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკა“)და ხელს უწყობს მათ ტრენინგებში ჩართვას (ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით). დოკუმენტში „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის შინაგანაწესი“ მკაფიოდაა გაწერილი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** - სკოლა პერსონალს მართავს არა მხოლოდ ადმინისტრაციულად, არამედ ზრუნავს მათ პროფესიულ კეთილდღეობასა და განვითარებაზე. სკოლა პერიოდულად ატარებს გამოკითხვას (სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე- მცირერიცხოვანი კოლექტივი - ძირითადად ღიას), რათა გაიგოს, რა უშლით ხელს მასწავლებლებს მუშაობაში (მაგ: დროის განაწილება, რესურსების ნაკლებობა და სხვ.). ტრენინგებისა და ვორქშოპების დაგეგმვა ხდება საკითხებზე, რაც სკოლას რეალურად სჭირდება (მაგ: ხაზინის მომსახურების გადასვლასთან დაკავშირებით სკოლის ბუღალტრის გადამზადება). სკოლაში დასტურდება ჯანსაღი, კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბება, სადაც თანამშრომელი გრძნობს დაფასებას (წახალისების სისტემები, პრემიები, "წლის მასწავლებელი" და ა.შ.). თუ გაკვეთილებზე დაკვირვებისას გამოჩნდა ხარვეზი, სკოლა არ "სჯის" მასწავლებელს, არამედ სთავაზობს ინტერვენციას — ქოუჩინგს, კათედრის წევრთა დახმარებას, შესაძლებლობის ფარგლებში სპეციალურ გადასამზადებებლ კურსს. სკოლას აქვს მექანიზმი, როგორ ჩაერიოს თანამშრომლებს შორის დაპირისპირებისას, რათა ამან სასწავლო პროცესი არ დააზიანოს. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით, რაც დასტურდება მაგალითად, სკოლის ექთნის ვაკანსიაზე სპეციალისტის შერჩევით. კონკურსის წესით „ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“(ბრძანება N2-38, 10.12.2024). დირექტორის ბრძანებით (N2-39, 10.12.2024)) განისაზღვრა კონკურსის გამოცხადების ვადები, შექმნილია საპრეტენზიო კომისია(სკოლის დირექტორის ბრძანება N2-41, 10.12.2024) შექმნილია კომისია(სკოლის დირექტოროის ბრძანება N2-40, 10.12.2024)., განისაზღვრა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ყველა პროცედურის დაცვით შერჩეულიქნა კვალიფიცირებული კადრი.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ეს დასტურდება წარმოდგენილი და ადგილზე ნანახი დოკუმენტებით, ასევე eschool -ის ბაზების გაანალიზებით. დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შემოწმდა წარმოდგენილი პირადი საქმეებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის გამჭვირვალე პროცედურები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული პოზიციისთვის.

სკოლაში დასაქმებულია 20 მასწავლებელი, ყველა მათგანი ფლობს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის სტატუსს (1 წამყვანი და 19 უფროსი). დაწესებულებაში დასაქმებულია 1 სპეციალური მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი სერტიფიკატით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომლის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება №41/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. დირექტორისა და სხვა ადმინისტრაციული ერთეულების კვალიფიკაცია შეესაბამება სკოლის მიერ დამტკიცებულ სამუშაო აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო ჩარჩოს. სკოლას ჰყავს ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი 2 დამლაგებელი და 2 დარაჯი.პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია და მოიცავს კვალიფიკაციის დამადასტურებელ ყველა საჭირო დოკუმენტს (დიპლომები, სერტიფიკატები, ცნობა ნასამართლობის შესახებ: ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ: ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ:).სკოლა ახორციელებს პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, რაც აისახება მათ მიერ გავლილი ტრენინგების რაოდენობასა და ხარისხში. პედაგოგებს ადმინისტრაციას გავლილი აქვს სამინისტროსა და მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ტრენინგები. მაგ. სკოლის ბუღალტერმა სახაზინო მომსახურებაზე გადასხვლასთან დაკავშირებით გაიარა სპეც.ტრენინგები, ასევე ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებული „IPASAS ფინანსური ანგარიშგების ფორმები-მათი შევსების წესები“. <u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

4. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

მცირეკონტიგენტიან სკოლაში (40 მოსწავლე, 20 მასწავლებელი) გუნდურობა არ არის მხოლოდ ფორმალობა, არამედ ყოველდღიური მუშაობის სტილია. 1 მასწავლებელი 2 მოსწავლეზე პროპორცია თავისთავად მოითხოვს მჭიდრო კოორდინაციას. დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლობასა და საერთო პასუხისმგებლობაზე. პერსონალის მართვის პოლიტიკა ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა სკოლის მცირე ზომიდან გამომდინარე. სკოლის მართვის პროცესში პერსონალი აქტიურად არის ჩართული. მნიშვნელოვანი საკითხები (სასკოლო სასწავლო გეგმა, უსაფრთხოების წესები, ღონისძიებები) განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, სადაც თითოეულ წევრს აქვს შესაძლებლობა, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები. მცირე კონტიგენტის პირობებში, მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია არის ოპერატიული და უშუალო. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლების მჭიდრო თანამშრომლობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში. პერსონალის ერთიანობა და გუნდური მუშაობის პრინციპი კარგად გამოჩნდა სკოლის რეაბილიტაციის პროცესში (სოჩხეთის სკოლაში დროებითი ფუნქციონირება) და საკუთარ, განახლებულ კორპუსში დაბრუნების ეტაპზე, სადაც პერსონალი ერთიანი ძალისხმევით ჩაერთო სასწავლო გარემოს მოწყობაში.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

5. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

დაწესებულებაში პერსონალის აღიარების სისტემა მუშაობს ეფექტურად და მოიცავს სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფს. სკოლა იყენებს როგორც შიდა ფინანსურ და მორალურ რესურსს, ისე გარე მექანიზმებს თანამშრომელთა წასახალისებლად. სკოლა ზრუნავს პედაგოგთა პროფესიულ რეპუტაციაზე და ხელს უწყობს მათ წარჩინებას სისტემურ დონეზე. ამის დასტურია სკოლის მიერ საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის წარდგენილი შუამდგომლობა პედაგოგის დასაჯილდოებლად, რაც მიუთითებს ადმინისტრაციის მხრიდან მასწავლებლის განსაკუთრებული მიღწევების ობიექტურ დაფასებაზე. 2025 წელს სკოლამ გამოიყენა საბიუჯეტო რესურსი პერსონალის მატერიალური სტიმულირებისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღიარების პოლიტიკა ვრცელდება დამხმარე პერსონალზეც — კერძოდ, ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ სკოლის დამლაგებლები, რაც ხაზს უსვამს სკოლაში არსებულ სამართლიან და გუნდურ გარემოს, სადაც თითოეული თანამშრომლის შრომა (განსაკუთრებით რეაბილიტაციის შემდგომი სისუფთავის შენარჩუნების პროცესში) ღირსეულად ფასდება. მატერიალურ

ჯილდოსთან ერთად, სკოლა იყენებს სიგელებსა და საჯარო მადლობებს, რაც ხელს უწყობს პოზიტიური კორპორაციული კულტურის განმტკიცებას.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 4 თანამდებობრივი ინსტრუქციები

დანართი 28 შინაგანაწესი

დანართი 28 სამეურვეოს ოქმიN4 შინაგანაწესის დამტკიცების

დანართი 10 პერსონალის სოციალიზაცია სკოლაში.

დანართი 10 ბრძანება 2-59 პერსონალის სოციალიზაცია

დანართი 8 მოსწავლეთა ადაპტაცია სკოლაში.

დანართი ბრძანება 2-48 მოსწავლის ადაპტაციის წესი.

დანართი 21 ადამინური რესურსების მართვა.

დანართი 21 ბრძანება 2-53 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემა ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას. დაწესებულებაში შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დანართი 21, ბრძანება №2-53), რომელიც განსაზღვრავს პერსონალის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების ძირითად პრინციპებს. შეფასების პროცესი ეყრდნობა თანამდებობრივ ინსტრუქციებს (დანართი 4), სადაც მკაფიოდ არის გაწერილი თითოეული პოზიციის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო სამუშაო დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვა კონტროლდება სკოლის შინაგანაწესით (დანართი 28), რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს №4 ოქმით. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალი კადრების მხარდაჭერას, რაც დასტურდება პერსონალის სოციალიზაციის წესით (დანართი 10, ბრძანება №2-59). ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა ადრეულ ეტაპზევე გამოიკვეთოს ახალი თანამშრომლის პროფესიული საჭიროებები. ზემოაღნიშნული დოკუმენტების ერთობლიობა ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია პერსონალის შეფასების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობის ქმედითი მექანიზმები.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომელიც პირდაპირ კავშირშია შეფასების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებთან. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (დანართი 21, ბრძანება №2-53) შესაბამისად, სკოლა ახდენს პერსონალის კომპეტენციების ანალიზს, რის საფუძველზეც იგეგმება შესაბამისი ინტერვენციები. განვითარების პროცესი მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალს. კერძოდ, პერსონალის სოციალიზაციის მექანიზმი (დანართი 10, ბრძანება №2-59) ითვალისწინებს ახალი კადრების საჭიროებების დადგენასა და მათთვის ინდივიდუალური მხარდაჭერის აღმოჩენას სოციალიზაციის გეგმის ფარგლებში.პერსონალის განვითარების აქტივობები მიმართულია თანამდებობრივი ინსტრუქციებით (დანართი 4) განსაზღვრული ფუნქციების უფრო ეფექტურად შესრულებისკენ, რაც საბოლოო ჯამში აუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის საფუძველზე, დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვა ხორციელდება სისტემურად. სკოლას გააჩნია როგორც სამართლებრივი ჩარჩო (HR პოლიტიკა, შინაგანაწესი, ინსტრუქციები), ისე ქმედითი მექანიზმები პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის რეაგირება გარე ცვლილებებზე (ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება ხაზინის მომსახურებაზე გადასვლასთან დაკავშირებით) და შიდა კოლეგიური სწავლების პრაქტიკა (მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები). სკოლის ხედვა კარიერული ზრდის ხელშეწყობის პროგრამის შემდგომი განვითარების შესახებ მიუთითებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის უწყვეტობაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია ახალი თანამშრომლების მხარდაჭერისა და სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის სისტემა. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პერსონალის სოციალიზაციის წესით (დანართი 10, ბრძანება №2-59), რომელიც მიზნად ისახავს ახლადდანიშნული კადრებისთვის სკოლის კულტურის, ღირებულებებისა და სამუშაო სპეციფიკის გაცნობას.

ინტეგრაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- საინფორმაციო მხარდაჭერა: ახალი თანამშრომელი ეცნობა შინაგანაწესს (დანართი 28) და თავის თანამდებობრივ ინსტრუქციას (დანართი 4), რაც უზრუნველყოფს მისი უფლება-მოვალეობების მკაფიო გააზრებას.
- პროფესიული მხარდაჭერა: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (დანართი 21) ფარგლებში, სკოლა უზრუნველყოფს ახალი კადრების ჩართვას სასწავლო ჯგუფებში, რაც მათ ეხმარება კოლეგებთან კომუნიკაციასა და გამოცდილების გაზიარებაში.
- მონიტორინგი და უკუკავშირი: სოციალიზაციის პერიოდში სკოლის დირექცია ახორციელებს დაკვირვებას და აწვდის ახალ თანამშრომელს საჭირო უკუკავშირს, რათა მისი ინტეგრაცია იყოს მაქსიმალურად ეფექტური და კომფორტული.

აღსანიშნავია, რომ სკოლა სოციალიზაციის პროცესს განიხილავს, როგორც პერსონალის გრძელვადიანი შენარჩუნების წინაპირობას, რაც პირდაპირ აისახება სამუშაო გარემოს სტაბილურობაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში დანერგილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების პრაქტიკა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დანართი 21, ბრძანება №2-53) ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებიც საშუალებას აძლევს თანამშრომლებს, თავად გამოთქვან სურვილი კონკრეტული უნარების გაუმჯობესებაზე. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრებზე გაჟღერებული ინოვაციური მიდგომები ან პროექტები პოულობს ადეკვატურ ასახვას სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში. პერსონალის მიერ გამოჩენილი აქტივობა და პროფესიული წინსვლისკენ გადადგმული ნაბიჯები განიხილება სამეურვეო საბჭოს მიერ (დანართი 28, ოქმი №4), რაც ხშირად ხდება მათი მორალური თუ სიტყვიერი წახალისების საფუძველი. სკოლა გამოხატავს მზაობას, პერსონალის ინიციატივით დაგეგმილი აქტივობებისთვის (მაგ: შიდა ვორქშოფები, სასკოლო ღონისძიებები) გამოყოს შესაბამისი დრო და მატერიალური რესურსი. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სკოლაში პოზიტიური, შემოქმედებითი გარემოს შექმნას, სადაც თითოეული თანამშრომელი გრძნობს, რომ მისი პროფესიული ზრდა და ინიციატივა მნიშვნელოვანია დაწესებულების საერთო წარმატებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 28 შინაგანაწესი

დანართი 28 სამეურვეოს ოქმიN4 შინაგანაწესის დამტკიცების

დანართი 10 პერსონალის ადაპტაცია სკოლაში.

დანართი 10. ბრძანება „ პერსონალის სოციალიზაცია“

დანართი 21 ადამინური რესურსების მართვა.

დანართი 20 ხარისხის უზრუნველყოფა სკოლაში.

დანართი 20. ბრძანება „ხარისხის მართვის პოლიტიკა““ შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის მართვის ციკლის (PDCA) პრინციპების დაცვით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით:

- დაგეგმვა - სკოლის მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი — სასკოლო სასწავლო გეგმა (დანართი 34) — შემუშავებული და დამტკიცებულია კოლეგიური ორგანოს მიერ (პედ.საბჭოს ოქმი №2, 2025.09.09). დაგეგმვის პროცესი ეფუძნება კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიას (დანართი 23), რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მეცნიერულ და მეთოდურ გამართულობას.
- განხორციელება - სასწავლო პროცესის მართვა და ადმინისტრირება მიმდინარეობს შინაგანაწესის (დანართი 28) და შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე. პროცესების გამჭვირვალობისა და ეთიკურობის დასაცავად, სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება (დანართი 26).

- შემოწმება - სკოლას გააჩნია უკუკავშირისა და კონტროლის ქმედითი მექანიზმები, როგორიცაა საჩივრის განხილვის წესი (დანართი 15). ეს ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა დროულად მოხდეს ხარვეზების იდენტიფიცირება და ინტერესთა მხარეების (მოსწავლე, მშობელი) პოზიციების გათვალისწინება.
- განვითარება - კურიკულუმის გადახედვა და განვითარება ხდება პერიოდულად, მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების ერთობლიობა და მათი ურთიერთკავშირი ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია მართვის პროცესული მიდგომა, სადაც თითოეული ეტაპი (დაგეგმვიდან განვითარებამდე) არის ლოგიკურად თანმიმდევრული და დოკუმენტირებული.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში იდენტიფიცირებულია და მკაფიოდ არის გამიჯნული ერთმანეთისგან მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც უზრუნველყოფს სკოლის გამართულ ფუნქციონირებას:

1. მმართველობითი პროცესები: სკოლის მართვა ხორციელდება კოლეგიური და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების საფუძველზე. პროცესების ლეგიტიმაცია დასტურდება სამეურვეო საბჭოს (ოქმი №4) და პედაგოგიური საბჭოს (ოქმი №2) გადაწყვეტილებებით. მმართველობითი ციკლის ნაწილია სასკოლო სასწავლო გეგმის (დანართი 34) ყოველწლიური შემუშავება და დამტკიცება.
2. ძირითადი (საგანმანათლებლო) პროცესები: სკოლის მთავარი საქმიანობა — სწავლა-სწავლება — აღწერილია კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიაში (დანართი 23). ეს დოკუმენტი განსაზღვრავს, თუ როგორ იგეგმება, ხორციელდება და ფასდება საგანმანათლებლო პროცესი, რაც სკოლის ფუნქციონირების ბირთვს წარმოადგენს.
3. დამხმარე პროცესები: სკოლას იდენტიფიცირებული აქვს ის პროცესებიც, რომლებიც ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ მიმდინარეობას. მათ შორისაა:ადმინისტრაციული და სამართლებრივი მხარდაჭერა: რეგულირდება შინაგანაწესით (დანართი 28) და საჩივრის განხილვის წესით (დანართი 15), უსაფრთხოება და მონაცემთა

დაცვა: უზრუნველყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულებით (დანართი 26), ადამიანური რესურსების მართვა: მოიცავს პერსონალის შერჩევასა და განვითარებას (დანართი 21).

პროცესების ასეთი სტრუქტურირება და მათი დოკუმენტური აღწერა (შესაბამისი წესებითა და ბრძანებებით) ადასტურებს, რომ სკოლაში მართვა ეფუძნება სისტემურ ხედვას და თითოეული პროცესი არის გააზრებული და რეგლამენტირებული.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის გამჭვირვალე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის (თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) უფლებების დაცვას: სკოლაში მოქმედებს საჩივრის განხილვის წესი (დანართი 15), რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი ბრძანებით. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს საჩივრის წარდგენის ფორმას, განხილვის ვადებსა და პროცედურებს, რაც გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომებს.

საჩივრებისა და წინადადებების წარდგენის მექანიზმები ასევე ასახულია სკოლის შინაგანაწესში (დანართი 28), რომელსაც პერსონალი და მშობლები ეცნობიან სოციალიზაციისა და კომუნიკაციის სხვადასხვა არხებით. სისტემა ორიენტირებულია კონფლიქტების პრევენციასა და სამართლიან გადაწყვეტაზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება (დანართი 26) კი უზრუნველყოფს, რომ საჩივრის განხილვის პროცესში დაცული იყოს მხარეთა კონფიდენციალურობა. გასაჩივრების მექანიზმის არსებობა, რომელიც დადასტურებულია სამეურვეო საბჭოს (ოქმი №4) ჩართულობით, მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა აღიარებს და პატივს სცემს დაინტერესებული მხარეების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ მმართველობით პროცესებში და დაიცვან თავიანთი ინტერესები. აღნიშნული სისტემის არსებობა ადასტურებს სკოლაში დემოკრატიული ღირებულებებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვას, რაც ხარისხის მართვის განუყოფელი ნაწილია.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები** - პერსონალთან და მშობლებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მაღალი ნდობისა და მჭიდრო კოლეგიური ურთიერთობების გარემო. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია და სასკოლო საზოგადოების წევრები (პედაგოგები, მშობლები) ძირითადად ერთი თემის/სოფლის მკვიდრნი არიან, უფლებების დაცვისა და კომუნიკაციის პროცესი ხშირად მიმდინარეობს უშუალო და ღია დიალოგის ფორმატში.

ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ: ნებისმიერი პრობლემური საკითხი პირველ ეტაპზე წყდება კონსტრუქციული საუბრით, რაც ამცირებს ფორმალური დავების საჭიროებას; სკოლის მცირე ზომა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლისა და მშობლის საჭიროების ინდივიდუალურ გათვალისწინებას; მიუხედავად ახლო პერსონალური ნაცნობობისა, მხარეები აცნობიერებენ და პატივს სცემენ სკოლის შინაგანაწესით (დანართი 28) და საჩივრის განხილვის წესით (დანართი 15) დადგენილ ოფიციალურ ჩარჩოებს. ხაზგასასმელია, რომ სოფელ გურნის სკოლაში არსებული „თემური ერთობის“ პრინციპი არ ანაცვლებს, არამედ აძლიერებს მმართველობითი პროცესების ეფექტურობას, რადგან გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის მაქსიმალურად გამჭვირვალე და დაფუძნებულია ორმხრივ პასუხისმგებლობაზე.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 34 სასკოლო სასწავლო გეგმა.

დანართი 34 სასკოლო საწავლო გეგმის დამტკიცება პედ.საბჭოს ოქმი N 2 2025.09.09

დანართი 28 შინაგანაწესი დანართი 28 სამეურვეოს ოქმიN4 შინაგანაწესის დამტკიცების

დანართი 23 კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია.

დანართი 23. ბრძანება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

დანართი 15 საჩივრის განხილვის წესი.

დანართი 15. ბრძანება საჩივრის განხილვის წესი დანართი

26 პერსონალურ მონაცემთა დცვა.

დანართი 26 ბრძნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

საექსპერტო ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები (ფოკუსჯგუფები) სამ სამიზნე ჯგუფთან: მშობლებთან, უფროსკლასელებთან და მასწავლებლებთან. ინტერვიუების მიზანი იყო სკოლის მართვის პროცესებში მათი ჩართულობისა და უკუკავშირის ეფექტურობის შეფასება. მშობლებმა დაადასტურეს, რომ სკოლა ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას როგორც აკადემიური პროგრესის, ისე ინფრასტრუქტურული სიახლეების შესახებ (მაგ: ახალ შენობაში გადმოსვლა).უფროსკლასელები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაცია მათთვის ხელმისაწვდომია და ნებისმიერი საორგანიზაციო საკითხი მათთან კონსულტაციით წყდება.მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ მათი ინიციატივები ადმინისტრაციის მიერ იქნა მხარდაჭერილი. მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს უსაფრთხოებასა და ჰიგიენასთან დაკავშირებით. სამივე ჯგუფმა ერთხმად აღნიშნა, რომ სკოლაში არსებული მცირე კონტიგენტი (40 მოსწავლე) ქმნის ოჯახურ და უსაფრთხო გარემოს, სადაც კონფლიქტები მინიმუმამდეა დაყვანილი.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას აქვს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ რეალურად მომუშავე უკუკავშირის სისტემა. სასკოლო საზოგადოება გრძნობს თავს დაფასებულად და ჩართულად მართვის პროცესში.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა - დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა მართვის პროცესებში. სკოლაში მოქმედებს კოლეგიალური ორგანოები, სადაც გადაწყვეტილებების მიღება ხდება ინტერესთა ჯგუფების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) ჩართულობით. პედაგოგიური საბჭო: მასწავლებლებთან ჩატარებულმა ფოკუსჯგუფმა დაადასტურა, რომ საბჭო არ არის ფორმალური ერთეული. პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პერსონალის

წახალისების საკითხებსა და მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის დაგეგმვაში. სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია 3 მშობელი, 3 მასწავლებელი და 1 თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე. მშობლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სკოლის ბიუჯეტისა და პრიორიტეტების შესახებ. მათი ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სარეაბილიტაციო პერიოდში და ახალ კორპუსში გადმოსვლის ეტაპზე. მოსწავლეთა თვითმმართველობა: უფროსკლასელთა ფოკუსჯგუფმა აჩვენა, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრების ორგანიზებაში. თვითმმართველობა ახორციელებს ინიციატივებს, რომლებიც დაკავშირებულია კულტურულ და სოციალურ აქტივობებთან. მცირეკონტიგენტიანი სკოლის პირობებში, კოლეგიურობა გამოიხატება უშუალო და მჭიდრო თანამშრომლობაში. ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაცია „ღია კარის“ პრინციპით მუშაობს და ნებისმიერი წევრის ინიციატივა განსახილველად გადაეცემა შესაბამის კოლეგიალურ ორგანოს.

ასევე, აღსანიშნავია მშობელთა ჩართულობა და გადაწყვეტილებები მეორე უცხო ენის შერჩევის დროს. მეოთხე კლასის ბოლოს მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მეოთხე კლასის მშობლებს სკოლა სთავაზობს ორ უცხო ენას ასარჩევად მეხუთე კლასისათვის მეორე უცხო ენის რანგში. ასევე მე-9 კლასის მოსწავლეები ირჩევენ 10.11.და 12 კლასებში არჩევით საგანს(იხ შესაბამისი ოქმები).

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 27 სამეურვეოს ოქმიN2 2025-26 სასწ. წლის დაწყების

დანართი 35 პედსაბჭოს ოქმი.

დანართი 40 დისციპლინურის ოქმი

დანართი 49 კლასის კრების ოქმი უცხო ენის და არჩევითი საგნის

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

დაწესებულება 2025-2026 სასწავლო წლისთვის დაბრუნდა რეაბილიტირებულ ორსართულიან კორპუსში. მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ვიზუალურად დასრულებულია, საექსპერტო ვიზიტის მომენტისთვის შენობა არ არის ოფიციალურად ჩაბარებული ექსპლუატაციაში.

- ექსპლუატაციის უსაფრთხოება: ვინაიდან შენობის ჩაბარების პროცესი არ დასრულებულა, სკოლას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. შესაბამისად, ვერ დგინდება შენობის კონსტრუქციული მდგრადობა და უსაფრთხოება სასწავლო პროცესისთვის.
- სახანძრო უსაფრთხოება: დაწესებულებას არ გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/დასკვნა. შენობის ჩაუბარებლობის გამო, სკოლა ვერ მიმართავს დასრულების აქტის გარეშე უფლებამოსილ უწყებას სახანძრო შემოწმების მიზნით.
- საგანგებო სიტუაციების მართვა: სკოლას არ აქვს ახალ შენობაზე მორგებული და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ძველი გეგმა ვერ იქნება რელევანტური ახალი დაგეგმარებისა და შეცვლილი ინფრასტრუქტურის პირობებში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შემუშავდეს და დამტკიცდეს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კანონმდებლობის შესაბამისად. უზრუნველყოფილ იქნას სკოლის შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება რეაბილიტაციის პროცესის საბოლოო დასრულებისა და შენობის ჩაბარების შემდგომ. მოპოვებულ იქნას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/დასკვნა კომპეტენტური ორგანოს მიერ. ზემოაღნიშნული სამივე ხარვეზი აღმოიფხვრას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2027 წლის 30 აპრილისა.

<u>ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

დაწესებულებაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი მაღალ დონეზეა ორგანიზებული. რეაბილიტირებულ კორპუსში გამოყოფილია იზოლირებულ, სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი - ექთანი(შტატით ექიმი არ ეკუთვნით რადგან სკოლაში სწავლობს 50 მოსწავლეზე ნაკლები - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების (N41ნ 21.03.2021წ) თანახმად), რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება და დადასტურებული კომპეტენცია. სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი ინვენტარით, მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ კაბინეტის მოწყობა და აღჭურვილობა სრულ შესაბამისობაშია მოქმედ რეგულაციებთან. ექთნის მიერ წარმოებულია ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია (აღრიცხვის ჟურნალები), როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №41/ნ ბრძანება. დაფიქსირებულია და აღრიცხულია ყველა შემთხვევა, რაც ადასტურებს სერვისის უწყვეტობასა და ეფექტურობას. სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. კაბინეტი წარმოადგენს სრულყოფილად ფუნქციურ ერთეულს. მედიკამენტების შენახვისა და აღრიცხვის წესები მკაცრადაა დაცული.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში დანერგილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შიდა მექანიზმები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, სკოლის ადმინისტრაციას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების

ალტერნატიული და ქმედითი სისტემა. სკოლის დირექტორის ბრძანებით (№ 2-39, 17.10.2019წ), დანიშნულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული პირი ახორციელებს სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოების მუდმივ ზედამხედველობასა და პრევენციულ ღონისძიებებს. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. რომლის მიხედვით სკოლაში, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი პირი. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი, რომლსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია უზრუნველყოს უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. რეაბილიტირებული შენობა სრულად არის აღჭურვილი ვიდეოთვალთვალის სისტემით. კონტროლდება დერეფნები, სკოლის შემოსასვლელები და გასასვლელები, სულ ჯამში ფუნქციონირებს 24 კამერა. ვიდეოკამერები დამონტაჟებულია როგორც შიდა სივრცეებში (დერეფნები, კიბის უჯრედები), ისე შენობის გარე პერიმეტრზე. მონიტორინგი ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, რაც იძლევა შესაძლებლობას, დროულად მოხდეს ნებისმიერი ტიპის ინციდენტის იდენტიფიცირება და მასზე რეაგირება. სკოლაში დადგენილია მორიგეობის განრიგი (მასწავლებელთა და ადმინისტრაციის ჩართულობით), რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებას დასვენებების დროსა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. დირექტორის მიერ დამტკიცებული მორიგეობის განრიგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე. სკოლა იყენებს ტექნოლოგიურ რესურსს (ვიდეოთვალთვალი) საზოგადოებრივი წესრიგის კონტროლისთვის. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი გამართულია და შეესაბამება სკოლის საჭიროებებს.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

მცირეკონტიგენტიანი სოფლის სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე (40 მოსწავლე და 20 მასწავლებელი), დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია მზრუნველი, ოჯახური ტიპის გარემო, სადაც თითოეული მოსწავლის ემოციური საჭიროებები იდენტიფიცირებულია. სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური სპეციალური მასწავლებელი, რომელიც აქტიურად არის

ჩართული სასწავლო პროცესში. გარდა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისა, სპეციალური მასწავლებელი კონსულტაციას უწევს დამრიგებლებსა და საგნის მასწავლებლებს მოსწავლეთა ქცევითი და ემოციური სირთულეების მართვის საკითხებში. მისი არსებობა სკოლაში მნიშვნელოვნად აბალანსებს ფსიქოლოგის შტატის არქონას. მასწავლებლებისა და მოსწავლეების პროპორციული თანაფარდობა (1 მასწავლებელი 2 მოსწავლეზე) იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, რომ თითოეული ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა იყოს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. რეაბილიტირებული შენობის სრული ფიზიკური ხელმისაწვდომობა (ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი) გამორიცხავს ნებისმიერი მოსწავლის სოციალურ იზოლაციას და ხელს უწყობს მათ ემოციურ სტაბილურობას. უფროსკლასელებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მოსწავლეები თავს დაცულად და აღიარებულად გრძნობენ.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის 2025 წლის სრული რეაბილიტაციის შედეგად, შენობაში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სანიტარული კვანძები. დაწესებულება უზრუნველყოფს ჰიგიენური ნორმების დაცვას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, რაც დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ისე შესაბამისი დოკუმენტაციით.

შენობაში ფუნქციონირებს განახლებული სველი წერტილები, რომლებიც გამიჯნულია სქესის მიხედვით. ასევე, როგორც აღინიშნა, სკოლას აქვს სრულად ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ/შსმ პირებისთვის. ყველა წერტილი აღჭურვილია უწყვეტი წყალმომარაგებითა და კანალიზაციის სისტემით. საექსპერტო ვიზიტისას დაფიქსირდა, რომ სველი წერტილები მუდმივად მარაგდება საჭირო ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, ქაღალდი, სადეზინფექციო ხსნარები).სკოლაში უზრუნველყოფილია სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს. სკოლას შემუშავებული აქვს შენობისა და ეზოს დასუფთავების გრაფიკი. მცირეკონტიგენტიანი სკოლის პირობებში (40 მოსწავლე), არსებული დამხმარე პერსონალი სრულად აუდის სისუფთავის შენარჩუნებას დღის განმავლობაში. სანიტარულ მდგომარეობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სკოლის ექთანი და მატერიალური რესურსების მართვის კოორდინატორი. ექთნის მიერ კონტროლდება როგორც სველი წერტილების, ისე საკლასო ოთახებისა და საერთო სივრცეების ჰიგიენური მდგომარეობა. რეაბილიტირებული შენობის სანიტარული კვანძები საუკეთესო მდგომარეობაშია. დაცულია სველი წერტილების იზოლაციისა და პირადი სივრცის პრინციპები. ჰიგიენური ნორმების დაცვა ხდება სისტემურად და არა ეპიზოდურად.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლა მკაცრად იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობას.სკოლის დირექტორის N 225 ივლისის, 2025 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის პერსონალური მინაცემების დაცვისა და დამუშავების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი“ და ნებისმიერი ინფორმაციის, ფოტოსა თუ ვიდეომასალის გავრცელება საკომუნიკაციო არხებში (ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი) ხდება მხოლოდ სუბიექტის (ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/მშობლის) წინასწარი თანხმობის საფუძველზე - რაც წარმოადგინა სკოლამ ხელშეკრულებების ფორმით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყოს ისეთი მონაცემები, რომლებიც ლახავს პირის პირად სივრცეს ან შეიცავს სენსიტიურ ინფორმაციას. მონაცემთა დამუშავება ხდება მხოლოდ კონკრეტული, ლეგიტიმური საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ხოლო მათი შენახვა და დაარქივება მიმდინარეობს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. ელექტრონული ბაზები და ჟურნალები დაცულია პაროლებით და მათზე წვდომა შეზღუდულია.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში დანერგილია მატერიალური და ელექტრონული ინფორმაციის დაცვის სათანადო მექანიზმები. რეაბილიტირებულ კორპუსში (2025 წ.) ადმინისტრაციული სივრცეები მოწყობილია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია კონფიდენციალური დოკუმენტაციის უსაფრთხოება. მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები, ჟურნალები და სხვა სენსიტიური ინფორმაცია ინახება ადმინისტრაციულ ოთახში (საქმისმწარმოებლის კაბინეტში), რომელიც აღჭურვილია ლითონის კარადებითა და საკეტებით. მცირე კონტიგენტის (40 მოსწავლე) პირობებში, დოკუმენტაციის აღრიცხვა და კონტროლი მკაცრად არის მოწესრიგებული. სკოლა აქტიურად იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზებს. კომპიუტერები, რომლებშიც ინახება ბაზები, დაცულია ინდივიდუალური პაროლებით. სისტემაში წვდომა აქვს მხოლოდ უფლებამოსილ პირებს (დირექტორი, საქმისმწარმოებელი). სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა - დირექტორის N2-19, 25.07.2025 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რაც კრძალავს ინფორმაციის გადაცემას მესამე პირებისთვის შესაბამისი საფუძვლის გარეშე. დოკუმენტაცია ინახება დაცულ სივრცეში, სადაც გარეშე პირთა დაშვება შეზღუდულია. ელექტრონული

ინფორმაციის დაცვა ხორციელდება ავტორიზებული წვდომის მექანიზმებით. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია ინფორმაციის კონფიდენციალურობის მნიშვნელობაზე.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და

დაწესებულება ახორციელებს უსაფრთხოების მექანიზმების რეგულარულ მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლის 2025 წლის რეაბილიტაციისა და ახალ კორპუსში გადმოსვლის (2025-2026 ს.წ.) შემდეგ, ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალი ინფრასტრუქტურის პირობებში უსაფრთხოების რისკების ხელახალ შეფასებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფი (რომელშიც შედიან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ექთანი და მატერიალური რესურსების მართვის კოორდინატორი), რომელიც პერიოდულად (სემესტრში ერთხელ) ამოწმებს შენობის უსაფრთხოებას, ვიდეოსისტემის გამართულობასა და სანიტარულ მდგომარეობას. შეფასების საფუძველზე სკოლამ მოახდინა რეაგირება არსებულ საჭიროებებზე. კერძოდ, ვინაიდან შენობა ახალია და ბიბლიოთეკაში დაფიქსირდა წიგნების იატაკზე განლაგების ხარვეზი (რაც უსაფრთხოების რისკია), სკოლამ დაუყოვნებლივ მიმართა რესურსცენტრს (წერილები №149576, №350385) ახალი კარადებისა და თაროების მისაღებად. ვიდეოთვალთვალის სისტემის მონიტორინგის შედეგად მოხდა პერიმეტრის დამატებითი დაცვა. მცირე კონტიგენტის (40 მოსწავლე) პირობებში, ადმინისტრაცია მუდმივ რეჟიმში იღებს ინფორმაციას მოსწავლეებისგან, მასწავლებლებისგან და სპეცმასწავლებლისგან სასკოლო გარემოში არსებული ნებისმიერი ხარვეზის შესახებ. სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური წესებით და რეალურად აფასებს უსაფრთხოების გარემოს. შენობის ჩაუბარებლობის პირობებში (იხ. ინდიკატორი 1), სკოლა მაინც ცდილობს მაქსიმალურად აკონტროლოს შიდა უსაფრთხოების პროცესები.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 28 შინაგანაწესი.

დანართი 28 სამეურვეოს ოქმიN4 შინაგანაწესის დამტკიცების

დანართი 42 მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირის დანიშვნა ბრ 2-39

25

დანართი 43 ექთნის ფუნქცია მოვალეობის განსაზღვრა ბრ
დანართი 26 პერსონალური მონაცემის დაცვის წესი
დანართი 26 ბრძანება ბრძანება მონაცემთ დაცვის წესი.
დანართი 17 სტრუქტურული ერთეულების შესახებ
დანართი 17 ბრძანება სტრუქტურული ერთეულების შესახებ.
დანართი 37 მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლა განთავსებულია საკუთრებაში არსებულ ორსართულიან სასწავლო კორპუსში (აშენებული 1968 წელს). 2025 წელს შენობას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, რაც ქმნის თანამედროვე და უსაფრთხო გარემოს სასწავლო პროცესისათვის. 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში, სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სსიპ სოჩხეთის საჯარო სკოლის ბაზაზე (3 კმ-ის დაშორებით), რაც გარკვეულ დისკომფორტთან იყო დაკავშირებული. 2025-2026 სასწავლო წლისათვის სკოლა დაუბრუნდა განახლებულ სასწავლო კორპუსს, რაც უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო საქმიანობის სტაბილურობასა და ხელმისაწვდომობას. სკოლა სრულად ელექტროფიცირებულია, ასევე, ფუნქციონირებს გათბობის ცენტრალური სისტემა (საწვავი-დიზელი). სკოლას გააჩნია ელექტრომომარაგების ალტერნატივა - დიზელზე მომუშავე დენის გენერატორი, რომელიც ფორსმაჟორულ სიტუაციებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მუშაობის გარანტიაა. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, ასევე, ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი. სკოლის ეზო არის შესანიშნავი სარეკრეაციო სივრცე, მრავალწლოვანი ნარგავებითა და სკამებით. სკოლას გააჩნია ცალკე ფიზიკის და ცალკე ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილია გამწოვი სისტემითა და გამდინარე წყლით.

მატერიალური აღჭურვილობის მდგომარეობა**:** ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლას საკმარისი რაოდენობით გააჩნია ამ ეტაპზე საგაკვეთილო პროცესისთვის საჭირო ინვენტარი: მერხები, სკამები, მასწავლებლის მაგიდები და საკლასო კარადები, თუმცა ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ ლაბორატორიებში ამ ეტაპზე არ გააჩნია მოსწავლის მომსახურებისთვის საჭირო სრული, განახლებული ინვენტარი, სამასწავლებლოს, სკოლის ადმინისტრაციის, ბიბლიოთეკის ავეჯი(თაროები, მაგიდები, სკამები, კარადები, ტუმბოები და სხვ). მართალია, სკოლამ წარმოადგინა ოფიციალური მიმოწერა ქ. ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან (№149576, №350385, №351636), რომელიც ადასტურებს მზაობას ახალი სასკოლო ავეჯის გადმოცემაზე, თუმცა აღნიშნული პროცესი სამომავლო პერსპექტივას (2027 წლამდე) გულისხმობს. ვინაიდან ავტორიზაციის სტანდარტი მოითხოვს, რომ მატერიალური რესურსი ვიზიტის მომენტისთვის ფაქტობრივად არსებობდეს, წარმოდგენილი დაპირება ვერ ჩაითვლება სტანდარტის შესრულების მტკიცებულებად.

სკოლის მატერიალური რესურსი და აღჭურვილობა არ შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების სტადარტულ მოთხოვნებს. კერძოდ, ვიზიტის მომენტში დაწესებულებას არ გააჩნია საჭირო რაოდენობის სასკოლო ავეჯი*:* საბუნებისმეტყველო, კომპიუტერული ლაბორატორიის, სამასწავლებლოს, ადმინისტრაციის ოთახის, ბიბლიოთეკის სრული ინვენტარი (კარადები, მაგიდები, ტუმბოები, თაროები) და სხვ.). სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები *(*მიმოწერა რესურსცენტრთან*)* და შესაბამისობის *გეგმა* ადასტურებს რესურსის სამომავლო განახლების გეგმას, თუმცა ვერ უზრუნველყოფს სტანდარტის მოთხოვნის ფაქტობრივ შესრულებას ავტორიზაციის მომენტისთვის სასწავლო პროცესის სათანადო მატერიალური გარემოთი უზრუნველყოფის მიზნით, **სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებისთვის საჭირო ინვენტარის (ცეცხლგამძლე ზედაპირიანი**

მაგიდები, სპეციალიზებული კარადები, ტუმბოები და სხვ.) ეტაპობრივი შეძენა/განახლება 2027 წლის 27 მაისამდე, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით. სკოლის ადმინისტრაციამ პერიოდულად აწარმოოს აქტიური კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთან (სამინისტრო/რესურსცენტრი) დაფინანსების ან ინვენტარით მომარაგების პროცესის დასაჩქარებლად..

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის რეაბილიტირებულ ორსართულიან კორპუსში (2025 წ.) საერთო სარგებლობის სივრცეები (დერეფნები, კიბის უჯრედები, სველი წერტილები) დაპროექტებული და მოწყობილია იმგვარად, რომ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების თავისუფალ და უსაფრთხო გადაადგილებას. 2025-2026 სასწავლო წლისთვის საკუთარ შენობაში დაბრუნებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რესურსებზე ფიზიკური ხელმისაწვდომობა, რაც მანამდე (სოჩხეთის სკოლაში ყოფნისას) გეოგრაფიული დაშორების გამო შეზღუდული იყო. საკლასო ოთახები აღჭურვილია არსებული ინვენტარით (მერხები, სკამები, დაფები), რაც სრულად არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის სასწავლო ცხრილით განსაზღვრულ დროს. სკოლაში ფუნქციონირებს განახლებული სველი წერტილები, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პერსონალისთვის, ისე მოსწავლეებისთვის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით. ბიბლიოთეკა და რესურსები: მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი დროებით განთავსებულია იატაკზე (სტელაჟების მოლოდინის რეჟიმში), სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა დაშვებას აღნიშნულ რესურსთან. თუმცა, ინვენტარის არქონა გარკვეულწილად აფერხებს რესურსის სრულფასოვან, ორგანიზებულ მოხმარებას.
ადმინისტრაციასა და რესურსცენტრს შორის არსებული მიმოწერა (№149576, №350385, №351636) ადასტურებს, რომ ახალი ინვენტარის მიღების შემდეგ, ხელმისაწვდომი რესურსების ხარისხი კიდევ უფრო გაუმჯობესდება და სრულად მოერგება თანამედროვე საგანმანათლებლო საჭიროებებს. სკოლის ინფრასტრუქტურა ღიაა სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სამუშაო და დასასვენებელი სივრცეები (სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, დერეფნები, ეზო) ფუნქციურად დატვირთულია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას გამოყოფილი აქვს შესაბამისი ფართი ბიბლიოთეკისთვის რეაბილიტირებულ შენობაში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", რომელიც განსაზღვრავს წიგნადი ფონდით სარგებლობის პირობებსა და პროცედურებს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკარის შტატი, რაც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მართვასა და მოსწავლეთათვის კონსულტაციების გაწევას. დოკუმენტური შემოწმებით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. სკოლას გააჩნია საბაზისო კატალოგი, რაც იძლევა ფონდის იდენტიფიცირების საშუალებას. ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ წიგნადი ფონდის სისტემატიზაცია ფიზიკურ დონეზე დარღვეულია. სათანადო ინვენტარის (სტელაჟების/თაროების) არარსებობის გამო, წიგნები განთავსებულია იატაკზე. აღნიშნული მდგომარეობა არ შეესაბამება ბიბლიოთეკის მოწყობის სტანდარტს, რადგან: 1. ფერხდება წიგნების კლასიფიკაციის მიხედვით (მაგ. ჟანრობრივი ან ასაკობრივი) დალაგება; 2. იზღუდება მოსწავლეთა მიერ საჭირო ლიტერატურის სწრაფი ძიებისა და შერჩევის შესაძლებლობა; 3. არსებობს წიგნადი ფონდის დაზიანების რისკი.

სკოლის დირექტორის წერილები (№149576, №350385) და რესურსცენტრის პასუხი (№351636) ადასტურებს, რომ სკოლა ელოდება ახალ საბიბლიოთეკო ინვენტარს. თუმცა, საექსპერტო ვიზიტის მომენტისთვის, სისტემატიზაციის მოთხოვნა ფიზიკურ სივრცეში არ არის შესრულებული. ბიბლიოთეკის წესები და აღრიცხვიანობა მოწესრიგებულია დოკუმენტურად. თუმცა, ფიზიკური სისტემატიზაცია და შენახვის პირობები საჭიროებს სასწრაფო მოწესრიგებას.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოფილ იქნას სკოლის ბიბლიოთეკის აღჭურვა შესაბამისი და ფუნქციური საბიბლიოთეკო ავეჯით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებების გათვალისწინებით.აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არაუგვიანეს 2027 წლის 30 აპრილისა

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემო

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად არის მორგებული ინკლუზიური განათლების პრინციპებს. 2025 წელს განხორციელებული სრული რეაბილიტაციის შედეგად, შენობა აღიჭურვა ყველა საჭირო მექანიზმით, რაც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (სსსმ/შსმ) თანაბარ ჩართულობას

სასწავლო პროცესში. შენობის მთავარ შესასვლელთან მოწყობილია სტანდარტების შესაბამისი პანდუსი, რაც ეტლით მოსარგებლე პირებს შენობაში დამოუკიდებლად შესვლის საშუალებას აძლევს. ორსართულიან კორპუსში ფუნქციონირებს გამართული ლიფტი, რაც უზრუნველყოფს სსსმ პირთა შეუფერხებელ გადაადგილებას სართულებს შორის და ყველა სასწავლო სივრცეზე (კაბინეტები, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა) წვდომას. შენობაში მოწყობილია სპეციალურად ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი დამხმარე სახელურებითა და საჭირო ფართით, რაც სრულად პასუხობს ნორმებს. სკოლის ფიზიკური გარემო არ ზღუდავს არცერთი მოსწავლის გადაადგილებასა და რესურსებით სარგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ელოდება ახალ ინვენტარს, შენობის არსებული დაგეგმარება და ტექნიკური აღჭურვილობა (ლიფტი, პანდუსი) ქმნის მყარ გარანტიას ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესასრულებლად.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას სკოლის ინფრასტრუქტურა, 2025 წლის სრული რეაბილიტაციის შედეგად, იძლევა შესაძლებლობას, რომ დაწესებულება ჩამოყალიბდეს მრავალფუნქციურ სოციო-კულტურულ სივრცედ. შენობის დაგეგმარება ხელს უწყობს არაფორმალური განათლების განვითარებასა და სასკოლო საზოგადოების წევრების კომუნიკაციას. რეაბილიტირებული კორპუსის ფართო დერეფნები, ღია, სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, ეზო და საერთო სივრცეები იძლევა საშუალებას მოეწყოს სხვადასხვა სოციალური აქტივობები, გამოფენები და მოსწავლეთა შეხვედრები. აღნიშნული სივრცეები გამოიყენება კულტურული ღონისძიებების, ზეიმებისა და სპორტული შეჯიბრებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკაში ამჟამად მიმდინარეობს ინვენტარიზაციის პროცესი და წიგნები დროებით იატაკზეა განთავსებული თავად ბიბლიოთეკის სივრცე გააზრებულია, როგორც შემეცნებითი და სოციალური აქტივობის ადგილი.

სოჩხეთის საჯარო სკოლიდან საკუთარ, განახლებულ კორპუსში დაბრუნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სკოლის, როგორც თემის კულტურული კერის გაძლიერებისთვის. სკოლა გეგმავს ინფრასტრუქტურის გამოყენებას სხვადასხვა კლუბური მუშაობისა და შემოქმედებითი პროექტებისთვის. ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას. სკოლას აქვს პოტენციალი და რესურსი, უზრუნველყოს არაფორმალური გარემო.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება(მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 1 ბიბლიოთეკარის დებულება.
დანართი 1 ბრძანება ბიბლიოთეკარის დებულება.
დანართი 6 მატერიალური რესურსებით სარგებლობა.
დანართი 6 ბრძანება მატერიალური რესურსებით სარგებლობა. დანართი 43 ექთნის უფლება მოვალეობა.
დანართი 76 ინვენტარის მოთხოვნის წერილი.
დანართი 79 წიგნადი ფონდის აღრიცხვის ჟურნალი.
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კორესპონდენცია რესურსცენტრთან: №149576 (14.02.2025), №350385 (24.03.2026), №351636 (24.03.2026);
შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება სკოლის საჭიროებებს და უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. სკოლა აღჭურვილია 10 ერთეული კომპიუტერული ტექნიკით, რაც სკოლის მცირე კონტინგენტის გათვალისწინებით, იძლევა მოსწავლეთა ტექნოლოგიური უნარების განვითარებისა და სასწავლო პროცესში ციფრული რესურსების ინტეგრირების შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის თვალსაჩინოებისა და ინტერაქტიულობისთვის აქტიურად გამოიყენება პროექტორი, ხოლო 4 მრავალფუნქციური პრინტერი სრულად აკმაყოფილებს ადმინისტრაციული დოკუმენტბრუნვისა და სასწავლო მასალების (ტესტები, სამუშაო ფურცლები) მომზადების მოთხოვნებს. სკოლა მუდმივად უზრუნველყოფილია გამართული ინტერნეტ-კავშირით, რაც საშუალებას იძლევა ოპერატიულად წარიმართოს ელექტრონული საქმისწარმოება, მოხდეს ინფორმაციის გაცვლა მარეგულირებელ უწყებებთან და მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებზე.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად არის ორიენტირებული მომხმარებელზე (მოსწავლესა და პერსონალზე). სკოლაში მოქმედებს „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“(დირექტორის ბრძანება N2-47, 25.12.2025წ) რომელიც განსაზღვრავს კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტითა და პერიფერიული მოწყობილობებით (პრინტერი, პროექტორი) სარგებლობის პირობებსა და გრაფიკს.

სკოლის მცირე კონტინგენტი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ 10-ვე კომპიუტერი, 4 პრინტერი, 4 პროექტორი იყოს სრულად ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესში, ხოლო პერსონალისთვის — ადმინისტრაციული და მოსამზადებელი სამუშაოების შესასრულებლად. კომპიუტერული ლაბორატორია ღიაა წინასწარ განსაზღვრულ საათებში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობასა და ციფრული წიგნიერების ამაღლებას. რესურსების განაწილება ხდება

სამართლიანად, პრიორიტეტულობის პრინციპით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობის ტექნოლოგიურ მხარდაჭერას. კომპიუტერები განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში, პრინტერები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის(სამასწავლებლოში, კომპ. ლაბორატორიაში)

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 78 კომპიუტერების მიღების მიღება- ჩაბარების აქტი.

დანართი 6 მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი სისტემური, დაცული და შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს** - სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საქმისწარმოების ერთიანი წესების სრული დაცვით. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს დოკუმენტების მიღების, მომზადების, გაფორმების, მოძრაობის, აღრიცხვისა და შენახვის პროცედურებს. ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებული სისტემა, რაც უზრუნველყოფს კორესპონდენციის დროულ დამუშავებასა და ადრესატამდე დაყვანას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საიდუმლოების დაცვის რეჟიმებს. დოკუმენტების არქივირება და შენახვა ხდება დადგენილი ვადებისა და ნომენკლატურის შესაბამისად, რაც განაპირობებს სკოლის საქმიანობის დოკუმენტურ გამართულობასა და სამართლებრივ გამჭვირვალობას. სკოლა იყენებს ელექტრონულ საქმისწარმოებას eFlow და ელექტრონულ ფოსტას სახელმწიფო დომენით - @mes.gov.ge, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია განსაზღვრულია პირი (საქმისწარმოების სპეციალისტი), რომელიც პასუხისმგებელია ჟურნალების წარმოებასა და რეესტრებზე. წერილებსა და განცხადებებზე პასუხი გაიცემა კანონით დადგენილ ვადებში.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**
სკოლის მართვის პროცესში დანერგილია და აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული საქმიანობის ოპერატიულობასა და გამჭვირვალობას. საქმისწარმოება ეფუძნება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (eFlow), რაც საშუალებას გვაძლევს სწრაფად მოვახდინოთ კორესპონდენციის რეგისტრაცია, რეზოლუციების გაცემა და შესრულების კონტროლი.
გარდა ამისა, სკოლა იყენებს მართვის სხვადასხვა ელექტრონულ ხელსაწყოებს: მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაცემთა ბაზებს(eschool), ელექტრონულ ჟურნალებსა და ფინანსური მართვის პროგრამებს(ბუღალტერია). თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მინიმუმამდე ამცირებს შეცდომების რისკს, უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას და ხელს უწყობს სწრაფ კომუნიკაციას სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში** - სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge) მონაცემთა სრულყოფილ და დროულ ასახვას. სკოლის ელექტრონული პროფილი მუდმივად განახლებულია და მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას: სისტემაში ასახულია თითოეული მოსწავლისა და მასწავლებლის პერსონალური და აკადემიური მონაცემები, მათი სტატუსი, საგნობრივი დატვირთვა და ცხრილები. მონაცემთა ბაზის გამართული მართვა სკოლას საშუალებას აძლევს, ოპერატიულად მოახდინოს ინფორმაციის გაცვლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, აწარმოოს ფინანსური ოპერაციები, ზუსტი სტატისტიკა და უზრუნველვყოს სასწავლო პროცესის სამართლებრივი გამართულობა. სკოლაში ბრძანებით განსაზღვრულია eschool-ს ბაზის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი(სკოლის საქმისმწარმოებელი).

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლა სრულად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას საგანმანათლებლო სისტემის წინაშე და უზრუნველყოფს მჭიდრო, კონსტრუქციულ თანამშრომლობას მარეგულირებელ

უწყებებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი).

ადგილზე ნანახი სხვადასხვა დოკუმენტებით(ბალანსები, წერილები და სხვ)სკოლა დადგენილ ვადებში და ჯეროვნად წარადგენს ყველა სახის სტატისტიკურ, ფინანსურ თუ შინაარსობრივ ანგარიშს. მარეგულირებელი ორგანოებიდან მიღებული უკუკავშირი და რეკომენდაციები ოპერატიულად განიხილება სკოლის მართვის ორგანოების მიერ და აისახება სამოქმედო გეგმებში, რაც ხელს უწყობს ხარისხის უწყვეტ განვითარებას. სკოლა მუდმივ მზაობაშია გარე მონიტორინგისა თუ შეფასების პროცესებისთვის, რაც დასტურდება მოთხოვნილი ინფორმაციის უტყუარობითა და კომუნიკაციის მაღალი კულტურით.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი 14 . საქმისწარმოების წესი.
დანართი 14 ბრძანება 2-50 საქმის წარმოების ერთიანი წესი
დანართი 44. 10 დეკემბრის ანგარიში სამეურვეო საბჭოს. ოქმი 5 2025.9.12
დანართი 25. მოსწვლეთა ჩარიცხვის წესი. დანართი 25 ბრძანება 2-55
მოსწავლეთა ჩარიცხვის და სტატუსის შეჩერების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების დროულ და სრულფასოვან ინფორმირებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით. ფუნქციონირებს სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი (იხილეთ სკოლების პორტალი) სადაც განთავსებულია სტრატეგიული დოკუმენტები, სკოლის სტრუქტურა, სკოლის შინაგანაწესი, სიახლეები და სკოლის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. გარდა ამისა, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს (მაგ: მოსწავლეთა თვითმმართველობის Facebook

გვერდი, სკოლის Facebook გვერდი) ყოველდღიური აქტივობებისა და მიღწევების გასაშუქებლად. კომუნიკაციის პროცესი არის ორმხრივი – მშობლებსა და საზოგადოებას შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე ელექტრონული ფოსტის, მესენჯერისა თუ სატელეფონო კავშირის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს ნდობისა და ჩართულობის გაზრდას. საჯარო ინფორმაცია (მაგ. შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი) ხელმისაწვდომია ყველასთვის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი და სხვ)

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოების ინფორმირების პროცესს და უზრუნველყოფს მხოლოდ გადამოწმებული, ობიექტური და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა თუ სკოლის მიღწევების შესახებ გავრცელებული მასალა სრულად შეესაბამება რეალობას. სკოლის ოფიციალურ პლატფორმებზე (ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი) განთავსებული ინფორმაცია მუდმივად კონტროლდება ადმინისტრაციის მიერ, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი სახის უზუსტობა ან მცდარი ინტერპრეტაცია. საზოგადოებას მიეწოდება რეალური სურათი სკოლაში არსებული რესურსების, სერვისებისა და სასწავლო შედეგების შესახებ, რაც განაპირობებს სკოლის მაღალ რეპუტაციასა და სანდოობას.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა აქტიურად იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის. სხვადასხვა არხით (სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, მშობელთა კრებები) მიღებული მოსაზრებები, რეკომენდაციები თუ შენიშვნები სისტემატურად მუშავდება ადმინისტრაციის მიერ. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა მშობელთა ფოკუს-ჯგუფთან შეხვედრის დროს. მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მათ მოსაზრებებს, პრობლემებს და თხოვნებს ითვალისწინებს(მაგ. სწავლების, ტრანსპორტირების, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვის, სამედიცინო მომსახურების და სხვ).

სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის მიღებით – ხდება ამ მონაცემების ანალიზი, რაც შემდგომ აისახება სამოქმედო გეგმებში, სასკოლო სერვისების დახვეწასა თუ გარემოს გაუმჯობესებაში. მშობლებმა სკოლას საჩუქრად გადასცეს წიგნები და სურვილი გამოთვეს სასკოლო ბიბლიოთეკის გასაახლებლად, რის შესრულებაზეც მიიღეს დაპირება სკოლის ადმინისტრაციიდან. უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები კვლავ ეცნობება საზოგადოებას, რაც ზრდის ნდობას და სასკოლო საზოგადოების წევრებს აგრძნობინებს, რომ მათი აზრი გადამწყვეტია სკოლის განვითარებისთვის.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს ფუნქციონირებადი და მოქმედი ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროს. სკოლის საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სიახლეების შესახებ მასალები განთავსებულია სახელმწიფო ენაზე (ქართულად).

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი წარმოადგენს გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტს. მასზე სისტემატიზებული სახით განთავსებულია სკოლის ფუნდამენტური დოკუმენტები: მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც განსაზღვრავს სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფიას. ვებ-გვერდზე დეტალურადაა მოცემული სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, მათზე ჩარიცხვის გამჭვირვალე პროცედურები. განყოფილებაში „კონტაქტი“ მითითებულია ყველა საჭირო საკომუნიკაციო არხი სწრაფი კავშირისთვის.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებგვერდი“სკოლების პორტალზე“
2. სკოლის facebock გვერდი
3. მოსწავლეთა თვითმმართველობის **Facebook** გვერდი

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ **არ შეესაბამება**

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება** სკოლის ბიუჯეტი პირდაპირ კავშირშია წლიურ სამოქმედო გეგმასთან. თითოეული აქტივობა, რომელიც დაგეგმილია სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად, ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად თუ პროფესიული განვითარებისთვის, უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. ბიუჯეტის ფორმირებისას პრიორიტეტი ენიჭება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ

პრიორიტეტულ მიმართულებებს, რაც გარანტიას იძლევა, რომ დაგეგმილი სიახლეები და პროექტები არ დარჩება მხოლოდ ფურცელზე და მათი განხორციელება ფინანსურად რეალისტურია. სკოლას გააჩნია დაბალანსებული ბიუჯეტი. წლის ბოლოს კანონმდებლობასთან შეთანხმებით სამეურვეო საბჭოს წარედგინება ფინანსური საქმიანობის ანგარიში. (წლიური შემოსავალი - 587365, 37 ლარი. მათ შორის შრომის ანაზღაურება 496959 ლარი, პრემია გაიცა ორჯერ საახალწლო -420 ლარი და სააღდგომოდ 7170 ლარი ლარი)(იხ დირექტორის ბრძანება)). სკოლას აქვს სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა,** - სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რაც დასტურდება იმით, რომ სოფელ გურნის საჯარო სკოლაში მოქმედებს ფინანსების მართვის გამართული მექანიზმი. ბიუჯეტის პროექტი მუშავდება სკოლის საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ხარჯვის პროცესი მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების(სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვ) შესაბამისად, ხოლო ფინანსური რესურსების მიზნობრიობასა და ეფექტიანობას ზედამხედველობას უწევს ადმინისტრაცია პერიოდული მონიტორინგის გზით ადგილზე იქნა წარმოდგენილი 2026 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, შესყიდვების გეგმა. ფაქტობრივი ბიუჯეტი და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელსაც წარედგინება ფინანსური ანგარიში. ასევე ადგილზე აქვთ წლიური და კვარტალური ბალანსები.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 45 . 2026 წლის ბიუჯეტი სამეურვეოს ოქმი 5

დანართი 46. შესყიდვების გეგმის ბრძანება 2-40

დანართი 39 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. **მოსწავლეთა მხარდაჭერა**

4.1. **მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლის მიერ წარმოდგენილ და ადგილზე ნანახ შიდა რეგულაციებში ხაზგასმულია თანასწორობა და არადისკრიმინაციულობა. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა დასტურდება საინფორმაციო შეხვედრების ოქმებით (მშობელთა კრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის), ვებგვერდით, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული წესებით(მოსწავლის ეთიკის კოდექსი, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი და სხვ), სკოლის გვერდით სოციალურ ქსელში, მოსწავლეთა თვითმმართველობის გვერდთ სოციალურ ქსელში. აზრის გამოხატვისა და ჩართულობის უფლება - მოსწავლეთა თვითმმართველობის რეალურად ფუნქციონირებით, რაც გამოიკვეთა მოსწავლეებთან შეხვედრის დროს. მათ განაცხადეს, რომ ჩართულები არიან სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც გავლენას ახდენს მათ სასკოლო ცხოვრებაზე. საჩივრების განხილვის გამჭვირვალე მექანიზმი - სკოლას აქვს მკაფიო პროცედურა, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს ან მშობელს უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას და როგორ მოხდება ამ საჩივარზე რეაგირება(კონფიდენციალურობის დაცვით). პროცედურები გაწერილია დოკუმენტებში: "სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის შინაგანაწესი", "სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის წესდება" სკოლის დირექტორის N2-51 , 04.12.2025 ბრძანებით დამტკიცებულ „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის საჩივრის განხილვის წესი", რომლებითაც ისაზღვრება დისციპლინური დევნის სამართლიანობა, დისციპლინური გადაცდომის განხილვისას მოსწავლის უფლება — იყოს მოსმენილი, ჰქონდეს საშუალება წარმოადგინოს მტკიცებულებები და ჰქონდეს დაცვის შესაძლებლობა.დოკუმენტები განმარტავენ ვის და რა

ფორმით უნდა მიმართოს მოსწავლემ/მშობელმა უფლების დარღვევისას. მოსწავლეთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფთან შეხვედრით და მათი გამოკითხვის ანალიზით ირკვევა, რომ ისინი იცნობენ საკუთარ უფლებებს და თავს დაცულად გრძნობენ.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლაში მოქმედი ყველა რეგულაცია, რომელიც ეხება მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებებს, არის საჯარო და ხელმისაწვდომი. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობელთა და მოსწავლეთა სისტემური ინფორმირება (შეხვედრები, ელექტრონული რესურსები). სკოლის შინაგანაწესი და საჩივრების მექანიზმები მუდმივად განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და სასკოლო საზოგადოების მაღალ ცნობიერებას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არხებია - 1. სკოლის ვებგვერდი, სადაც ატვირთულია შინაგანაწესი, მოსწავლის უფლებების დეკლარაცია და საჩივრების განხილვის წესი, სკოლის სტრუქტურა და სხვა შიდასასკოლო დოკუმენტები 2. სოციალური გვერდი ფეისბუქზე 3. მოსწავლეთა თვითმმართველობის გვერდი ფეისბუქზე 4. საინფორმაციო დაფები: სკოლის ფოიეში ორივე სართულზე, დერეფანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული „მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების“ მოკლე ამონარიდები. 5. ელექტრონული ჟურნალი, მშობლებისა და მოსწავლეების ჯგუფებში გაზიარებული დოკუმენტები.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობა რეგულირდება წერილობითი ხელშეკრულებით, რომელიც შედგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. ხელშეკრულების პირობები არის საჯარო, მკაფიო და არ შეიცავს ორაზროვან პუნქტებს. მშობელს ეძლევა გონივრული ვადა დოკუმენტის გასაცნობად ხელმოწერამდე. ხელშეკრულება თანაბრად იცავს როგორც სკოლის, ისე მოსწავლის ინტერესებს.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 28. შინაგანაწესი .

დანართი 28 სამეურვეოს ოქმიN4 შინაგანაწესის დამტკიცების.

დანართი 15. საჩივრის განხილვის წესი.

დანართი 15 ბრძანება 2-51 საჩივრის განხილვის წესი.

დანართი 3 დამრიგებლის თვითშეფასების კითხვარი.

დანართი 3 ბრძანება 2-61 დამრიგებლის თვითშეფასების კითხვარი.

დანართი 50.51. მშობლების კრების ოქმები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის, ასევე მობილობისა და საფეხურის დაძლევის მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სამართლებრივი საფუძველი: აღნიშნული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის მართვის წესში. სკოლა ადმინისტრაციულ პროცესებს (ჩარიცხვა, მობილობა) ახორციელებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მეშვეობით, დადგენილი ვადებისა და კვოტების დაცვით. ინფორმაცია ჩარიცხვისა და მობილობის პირობების შესახებ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების დაცვას და თანაბარ ხელმისაწვდომობას. საფეხურის დაძლევის მექანიზმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას მოსწავლის შემდეგ საფეხურზე გადასვლისას.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

. სკოლა პრაქტიკაში ზედმიწევნით იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის მართვისა და საფეხურის დაძლევის დადგენილ მექანიზმებს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით: მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, სკოლის მიერ დადგენილი კვოტების ფარგლებში, რაც ასახულია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS). მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა თუ შეწყვეტის თითოეული შემთხვევა დასაბუთებულია შესაბამისი დოკუმენტაციით (განცხადებები, აქტები, ცნობები) და გაფორმებულია დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოსწავლის მომდევნო კლასში/საფეხურზე გადაყვანა ხდება აკადემიური მოსწრების ჟურნალებისა და შეფასების უწყისების საფუძველზე, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების სრული დაცვით. სკოლაში მოწესრიგებულია მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც დაცულია ყველა საჭირო დოკუმენტი, რაც ადასტურებს თითოეული ადმინისტრაციული პროცესის კანონიერებას.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურების, სასკოლო პროგრამებისა და შიდა პოლიტიკის შესახებ სრული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. კერძოდ:

- სკოლის ვებ-გვერდზე/სოციალურ ქსელში/საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია ინფორმაცია შეთავაზებული პროგრამების (ეროვნული სასწავლო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, სკოლის სტრუქტურა და სხვ.), მათი სპეციფიკისა და განხორციელების პირობების შესახებ.
- სკოლის შიდა პოლიტიკა, მოსწავლის ქცევის კოდექსი, ეთიკის ნორმები და დისციპლინური დევნის მექანიზმები საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, რაც უზრუნველყოფს მოსალოდნელი ქცევის სტანდარტების წინასწარ ცოდნას.

- ინფორმაციის მიწოდება ხდება მრავალფეროვანი არხებით (საინფორმაციო შეხვედრები, ელექტრონული პლატფორმები, საინფორმაციო ბუკლეტები), რაც გამორიცხავს ბუნდოვანებას და ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული - სკოლისა და მისი პერსონალის მიერ საჯარო სივრცეში გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ეფუძნება ეთიკის მაღალ სტანდარტებს. კერძოდ, პროგრამების, სერვისებისა და რესურსების შესახებ გავრცელებული მონაცემები არის რეალური, მკაფიო და არ შეიცავს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ნებისმიერი სიახლე (აქტივობები, პროექტები) საზოგადოებას მიეწოდება ღიად და გასაგებად. სკოლა უზრუნველყოფს საინფორმაციო არხების (ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა) მუდმივ მონიტორინგს, რათა მომხმარებელს ჰქონდეს წვდომა მხოლოდ აქტუალურ და განახლებულ მონაცემებზე. გავრცელებული მასალები (ტექსტური, ვიზუალური) თავისუფალია ყოველგვარი სტერეოტიპისა და დისკრიმინაციული ნიშნებისგან. პერსონალი ინფორმაციის გავრცელებისას იცავს თანასწორობის პრინციპს და პატივს სცემს ყველა ჯგუფის უფლებებს. სკოლის თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან საჯარო კომუნიკაციის წესების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სკოლის სახელით გავრცელებული ინფორმაციის ერთიან, პროფესიულ და კანონშესაბამის ხასიათს. სკოლა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, ვინაიდან მისი საკომუნიკაციო პოლიტიკა ეფუძნება კანონიერების, ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპებს.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 34 სასკოლო სასწავლო გეგმა.

დანართი 34 სამეურვეოს ოქმიN2 2025-26 სასწ. წლის დაწყების

დანართი 10 პერსონალის ადაპტაციის წესი.

დანართი 10 ბრძანება 2-59 პერსონალის ადაპტაცია.

დანართი 25 მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სატატუსის შეჩერების წესი.
დანართი 25 ბრძანება 2-55 მოსწავლეთა ჩარიცხვის და სტატუსის შეჩერების წესი.
შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი** - სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-48, 4.12.2025 დამტკიცებულია „ სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესის შესახებ“. საიდანაც ირკვევა რომ დაწესებულება დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. ეს წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს, ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებისგან

დამოუკიდებლად, გააჩნია სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე. სკოლაში ჯანსაღი გარემოს შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, თუმცა განსაკუთრებული როლი მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებლებს აკისრიათ. მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში მათი ჩართულობით იქმნება მზრუნველი გარემო, რაც წინაპირობაა სკოლაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას ხელს უწყობს სასწავლო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა. ახლად გარემონტებულ სასკოლო შენობას აქვს ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილი, პანდუსი, რესურსოთახი, სამედიცინო ოთახი.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან** - სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-48, 4.12.2025 დამტკიცებულია „ სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესის შესახებ“. საიდანაც ირკვევა რომ დაწესებულება დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. სკოლა განსაკუთრებულად ემზადება პირველკლასელთა სკოლაში მიღებისათვის. სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში, სკოლის დირექცია დეტალურ ინფორმაციას აწვდის მშობელს ინკლუზიური განათლების მუშაობის პრინციპების შესახებ, აცნობს სპეც.მასწავლებლესა და სკოლაში არსებულ რესურს ოთახს. სხვა სკოლიდან მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში, დამრიგებელს აქვს განსაკურებული როლი, რომელიც ამზადებს მიმღებ კლასს მოსწავლის დასახვედრად; ასევე, შეისწავლის მოსწავლის ხასიათს და ინტერესებს, ეხმარება მას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში და სასკოლო თემთან ინტეგრაციაში სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების**

სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი გარემო, სადაც ყოველი მოსწავლის აკადემიური საჭიროება შესწავლილია და არსებობს მექანიზმები მათი შედეგების გასაუმჯობესებლად. მისი მცირეკონტიგენტიანობა (40 მოსწავლე) და კლასებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა (საშუალოდ 4-5 მოსწავლე) იძლევა თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობისა და

პერსონალიზებული მხარდაჭერის შესაძლებლობას. მოსწავლეებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და გამოკითხვის შედეგად დასტურდება, რომ ისინი სრულად არიან ინფორმირებულნი თავიანთი აკადემიური მიღწევების შესახებ და მასწავლებლებისგან იღებენ მყისიერ, კონსტრუქციულ უკუკავშირსა და საჭირო კონსულტაციებს - მცირე კლასები იძლევა საშუალებას თითოეულ ბავშვთან ჰქონდეთ პერსონალური კომუნიკაცია, რაც დიდ სკოლებში რთული მისაღწევია. ეს მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომელიც ხაზს უსვამს სკოლის კონკურენტუნარიანობასა და სანდოობას. დიაგნოსტირება**:** სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგის სისტემა. სემესტრის განმავლობაში ხდება იმ მოსწავლეების იდენტიფიცირება, რომელთაც გარკვეულ საგნებში უჭირთ სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს საგნობრივი კონსულტაციებს, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის მასწავლებლები ადგენენ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებს. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება დიფერენცირებული სწავლება გაკვეთილზე ან დამატებითი მეცადინეობები რემედიაციის ფორმატში, რაც დასტურდება მოსწავლეების და მშობლებთან კომუნიკაციით.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით** -

ეს დასტურდება იმით, რომ სკოლა არ აყოვნებს მოსწავლისთვის საჭირო დოკუმენტაციის გაცემას და ეხმარება მას ნებისმიერ ადმინისტრაციულ საკითხში.სკოლის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის გაცნობით ჩანს, რომ დაცულია დოკუმენტაციის გაცემის ვადები. სკოლას საქმისწარმოების წესით გაწერილია კონკრეტული ვადები მოთხოვნილი დოკუმენტების გასაცემად:(მაგ. ცნობა სკოლიდან, ნიშნების ფურცელი / ამონაწერი მიმდინარე აკადემიური მოსწრების შესახებ, პირადი საქმის ასლი: სკოლიდან გადასვლის (მობილობის) დროს და სხვ.). სკოლა ოპერატიულაად ასახავს ინფორმაცია emis.ge-ზე (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში). ეს დასტურდება წარმოდგენილი მობილობის მსურველი მოსწავლეების განცხადებების რეესტრით და მათზე რეაგირების დროებით (ბრძანებები ამორიცხვის ან ჩარიცხვის შესახებ). სკოლაში არ დაფიქსირებულა სტატუსის შეჩერების შემთხვევა. სკოლა რეგულარულად აწვდის ინფორმაციას მე-12 კლასელებს ინფორმაციას გამოცდებზე რეგისტრაციის ვადებზე, ეროვნული გამოცდების შესახებ სიახლეებს და სხვ.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს იდეების და ინიციატივების განხორციელებაში, და ეხმარება მათ პროფესიული რჩევებითა და თანადგომით. მოსწავლეებმა შეხვედრის დროს გვესაუბრნენ მათ მიერ განხორციელებულ პროექტებზე, ღონისძიებებზე, რომლებიც სკოლამ დააფინანსა. საკოლო ექსკურსიები, პროექტი „სატყეო სკოლა“, „ესეების კონკურსი“, თეატრში ერთობლივად სპექტაკლზე დასწრება, საახლაწლო და სხვა ღონისძიებები მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. სკოლის შინაგანაწესით გაწერილია წახალისების მექანიზმები(მუხლი 11), რომელსაც იყენებს აქტიურ მოსწავლეთა დასაჯილდოვებლად(ხდება დაჯილდოვება სიგელებით, სერტიფიკატებით, სიმბოლური საჩუქრებით, მადლობით და სხვ.), ამას ადასტურებს სკოლის სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტო/ვიდეო მასალა(თვითმმართველობის სხდომის ოქმები: სადაც ფიქსირდება მოსწავლეების მიერ შეთავაზებული იდეა და სკოლის ადმინისტრაციის თანხმობა/მხარდაჭერა.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას** მშობლებთან ჩატარებული გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა მაღალი ნდობა სკოლის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს აქვთ არჩევანის შესაძლებლობა შვილები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიიყვანონ, ისინი უპირატესობას სოფელ გურნის საჯარო სკოლას ანიჭებენ. მშობლების განმარტებით, სკოლაში არსებული ინდივიდუალური მიდგომა, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო საუკეთესო პირობაა მათი შვილების აკადემიური და პიროვნული განვითარებისთვის. მშობლების ასეთი ლოიალობა სკოლის შემლება ჩაითვალოს სკოლის "ძლიერ მხარედ". <u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 52 ისგ გეგმა

დანართი 54 ისგ ოქმი.

დანართი 55 ისგ ოქმი.

დანართი 34 სასკოლო სასწავლო გეგმა.
დანართი 34 სამეურვეოს ოქმიN2 2025-26 სასწ. წლის დაწყების

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის- სკოლაში შემუშავებულია

სკოლაში დანერგილია და ეფექტურად ფუნქციონირებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემა, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებს. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს კარიერული დაგეგმვის მექანიზმები/გეგმა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა პროფესიული თვითგამორკვევისთვის. მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია უმაღლესი და პროფესიული განათლების შესაძლებლობების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების შესახებ. სკოლა ორგანიზებას უწევს შეხვედრებს სხვადასხვა სფეროს წარმატებულ პროფესიონალებთან, აწყობს გასვლით ვიზიტებს სასწავლო დაწესებულებებსა თუ საწარმოებში, რაც მოსწავლეებს ეხმარება რეალური წარმოდგენის შექმნაში სხვადასხვა პროფესიაზე. (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-58 , 20.12.2025) „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“, რომელიც განსაზღვრავს სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის, დამატებითი აქტივობების განხორციელების, სკოლის მოსწავლეებისათვის კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული წესი გულისხმობს ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემას – ღონისძიებათა ფართო სპექტრს, რომელიც პირს ეხმარება ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით სადამრიგებლო გეგმების გაცნობით და დამრიგებლებთა, მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მუდმივ და სისტემურ ინფორმირებას განათლების შემდგომი საფეხურებისა და კარიერული განვითარების გზების შესახებ. აღნიშნული დასტურდება შემდეგი მოქმედებებით: სკოლა ოპერატიულად აწვდის დაინტერესებულ მხარეებს გადამოწმებულ ინფორმაციას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საფეხურების დასრულების პირობებზე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და უმაღლესი განათლების სიახლეებზე. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სხვადასხვა არხით: მშობელთა კრებები, საინფორმაციო ბიულეტენები, ელექტრონული ჟურნალი და სკოლის შიდა საკომუნიკაციო ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ მიტანას ადრესატამდე. სკოლა ორგანიზებას უწევს სპეციალურ საინფორმაციო შეხვედრებს კანონიერი წარმომადგენლებისთვის, სადაც განიხილება მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესაბამისი პროფესიული ტრაექტორიები და მომავალი კარიერული პერსპექტივები. მოსწავლეებსა და მშობლებს აქვთ წვდომა განახლებულ რესურსებზე (გზამკვლევები, ვებ-პორტალები), რაც მათ ეხმარება დამოუკიდებლად ორიენტირდნენ შრომის ბაზრისა და საგანმანათლებლო სერვისების მრავალფეროვნებაში. სკოლა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, ვინაიდან ჩამოყალიბებულია ეფექტური საკომუნიკაციო სისტემა მოსწავლეთა და მშობელთა კარიერული ინფორმირებულობისთვის.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების - სკოლაში დანერგილია მომსახურების ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომლის შედეგებიც წარმოადგენს სკოლის განვითარების დაგეგმვის საფუძველს. კერძოდ: სკოლა ატარებს გამოკითხვებსა და ინტერვიუებს მოსწავლეებთან, მშობლებთან და პერსონალთან. კვლევის საგანია სასწავლო პროცესის ხარისხი, სასკოლო გარემო, ადმინისტრაციული მომსახურება და უსაფრთხოება. მიღებული უკუკავშირი მუშავდება და განიხილება სკოლის მართვის ორგანოების (პედაგოგიური საბჭო, დირექცია) მიერ, რათა გამოიკვეთოს ძლიერი მხარეები და გაუმჯობესების საჭიროებები.შეფასების შედეგების გათვალისწინებით, სკოლა ახდენს სამოქმედო გეგმების კორექტირებას. მაგალითად: ინერგება ახალი სასკოლო პროექტები, უმჯობესდება მატერიალური რესურსები ან იცვლება კომუნიკაციის ფორმები დაინტერესებულ მხარეებთან. სკოლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება სერვისების განვითარების შესახებ ეფუძნება ობიექტურ მონაცემებს, რაც

უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის თანმიმდევრულ ზრდას. მაგ. სასკოლო ტრანსპორტის მომსახურების მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს საჯარო სკოლის ადმინისტრაცია. ეს დამტკიცდა წარმოდეგნილი, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პიროს მიერ დამოწმებული ტაბელებით, ასევე სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 11 პროფესიული ორიენტაციის დაგეგმა.

დანართი 11 ბრძანება 2-58 პროფესიული ორიენტაციის წესი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი** - დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით (N2-31 16.09.2025წ) „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“) , რეგულირდება სსსმ მოსწავლეების სასწავლო პირობების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამჟამად სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური (სტატუსით უფროსი) მასწავლებელი. სკოლას აქვს შექმნილი ისგ-ს შემუშავების ჯგუფები, ინკლუზიური განთლების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, ისგ თითოეული მოსწავლისთვის; შემუშავებულია რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი. რესურს ოთახი მდებარეობს სკოლის პირველ სართულზე. რესურს ოთახი აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსებით, რომელთა შეძენა და დამზადება ხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. რესურს ოთახში არსებული მრავალფეროვანი რესურსები გარდა სპეც. მასწავლებლისა, საგნის მასწავლებლებსაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დიფერენცირებული სწავლების განხორციელებაში. სპეც. პედაგოგს საკუთარი ხელით აქვთ შექმნილი არაერთი განმავითარებელი რესურსი სსსმ მოსწავლეებისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით, პერიოდულად ხორციელდება ისგ გეგმების მონიტორინგი და მათი განხილვა. სსსმ მოსწავლის

წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სსმ მოსწავლე საჭიროებს ასისტენტის მომსახურეობას, რისთვისაც სკოლამ მიმართა შესაბამის ორგანოს საშტატო განრიგში ასისტენტის შტატის დამტკიცების მიზნით.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლა ინკლუზიური განათლების დანერგვისას ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ინდივიუალური საწავლო გეგმების შემუშავების ჯგუფებში ჩართულები არიან, როგორც სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნების მასწავლებლები, ასევე მშობლები. სკოლა იყენებს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების სისტემას . სპეც მასწავლებელთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა სახის სასკოლო და საკლასო ღონისძიებებში, პროექტებში.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

24.02.2026 წლის სკოლის დირექტორის წერილი.

ინდ გეგმები. ისგ ოქმები.

სასკოლო სასწავლო გეგმა.

ბრძანება 2-31 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო)

მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა სარგებლობს მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით, რომელიც ძირითადად რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი პროგრამებითა და კანონქვემდებარე აქტებით. 1. „საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა“: ეს არის მთავარი დოკუმენტი, რომელიც ყოველწლიურად მტკიცდება და განსაზღვრავს ტრანსპორტირების წესს, ბენეფიციართა კრიტერიუმებსა და მომსახურების პირობებს.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას - სასკოლო ტრანსპორტი 40 მოსწავლეს ემსახურება. ამ მიზნით სრულდება 5 მარშრუტი: ხატიბაულის უბანი-ქვეილიშის გორა- გურნის საჯარო სკოლა, გურნა-გაბადაძეების უბანი-ველის უბანი-გურნის საჯარო სკოლა, ეკალაური უბანი-გურნის საჯარო სკოლა, კითხიჯის უბანი-ხერსაძეების უბანი-გურნის საჯარო სკოლა, სოფელი ძმუისი-გაბელაშვილების უბანი-გურნის საჯარო სკოლა.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს - სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია სასკოლო ავტობუსების მოძრაობის გრაფიკის შესრულებაზე და მასთან წარმოებული დოკუმენტების (ტაბელების) შესაბამისობაზე. იმ ნორმატიული აქტების შესრულებაზე, რომელიც არეგულირებს მგზავრთა მომსახურების საერთო პირობებს, მათ შორის სასკოლო ტრანსპორტისთვისაც (საქართველოს კანონი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“

- ადგენს ზოგად მოთხოვნებს მგზავრთა გადაყვანისა და საავტომობილო გადაზიდვების უსაფრთხოებაზე და საქართველოს მთავრობის დადგენილება №4 (2014 წელი):„ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“)პასუხისმგებელია ტყიბულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი 77 გურნის სკოლის ტრანსპორტის ტაბელი შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. **სასკოლო კურიკულუმი**

2.1. **კურიკულუმის შემუშავება**

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც დეტალურადაა გაწერილი როგორ ხდება სკოლაში კურიკულუმის შემუშავება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, მათი ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესის დაგემვაზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის როლი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კურიკულუმის შემუშავების პროცესში პედაგოგები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: რომელ თემებს ასწავლიან, რა საკითხებს დაამუშავებენ კონკრეტულ კლასში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, რომელ დავალებებზე ამუშავებენ მოსწავლეებს, რომელი რესურსებით იმუშავებენ, როგორ შეაფასებენ შედეგებს და ა.შ. სასკოლო კურიკულუმის მომზადებაში მონაწილეობს პედაგოგიური საბჭო და გადაწყვეტილებები მიიღება დირექციის ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. პროცესები ეყრდნობა, როგორც მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისაგან მიღებულ უკუკავშირს. მეორე უცხოური ენისა თუ არჩევითი საგნების არჩევა სკოლაში ხდება მშობლებისა და მოსწავლეების გათვალისწინებით. სასკოლო პროექტების და კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა ხდება მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები, რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია პროცესები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელია ჩართული ისინი შეიმუშავებენ რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად; რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის; რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას. სკოლის სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის პროფესიული

საზოგადოების აქტიური მონაწილეობითა და თანამშრომლობით. პროცესის ორგანიზება და განხორციელება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს გუნდურ მუშაობას და ჩართულობის პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ სკოლის მასწავლებლები, სკოლის დირექტორის მოადგილე და დირექტორი, მშობლებისა და მოსწავლეთა ჩართულობა ვლინდება მათი უკუკავშირის გათვალისწინების ფორმით. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლაში ჩატარდა კათედრების სხდომები, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა იმსჯელეს კურიკულუმის შინაარსზე, წინა წლის შედეგების გათავალისწინების გზებზე. კურიკულუმების პროექტის განხილვა ხდება როგორც სამეურვეო საბჭოს წევრებთან, ასევე პედაგოგიურ საბჭოზე. ინტერვიუების ფარგლებში აღნიშნულმა პირებმა დეტალურად აღწერეს კურიკულუმის შემუშავების ეტაპები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა სასკოლო სასწავლო გეგმა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის კურიკულუმს იზიარებს სასკოლო საზოგადოება. შემუშავების ეტაპზე სასკოლო საზოგადოების წევრთა თანამონაწილეობა იძლევა დოკუმენტის პროექტის გაზიარების საშუალებას. ასევე, პროექტის განხილვა ხდება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს წევრებთან. დამტკიცებული დოკუმენტის სახით. მიღებული საბოლოო პროდუქტი გაზიარებულია მშობლებთანაც სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით და მოსწავლეებთან - მასწავლებლებისა და დამრიგებლების მიერ. შეხვედრებზე ზიარდება სასკოლო სასწავლო გეგმის საორგანიზაციო ნაწილი, შესასწავლი საგნობრივი საკითხები, შეფასების სისტემა, სწავლების მეთოდები და ა.შ. ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლისთვის გაზიარება არ ნიშნავს მხოლოდ კურიკულუმის დამტკიცებაში ფორმალურ მონაწილეობასა და მის გასაჯაროებას – იგი განიხილება როგორც დინამიკური პროცესი, რომელიც ეფუძნება თანმიმდევრულ თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობის განაწილებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

სამეურვეო საბჭოს ოქმი; პედაგოგიური

საბჭოს ოქმი; კათედრის სხდომის ოქმები;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესის დაგემვაზე. სამიზნე ცნებების კომპონენტი სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. შესაბამისად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შემუშვებას, რომელიც აამუშავებს მოსწავლის ფანტაზიას, გამოიწვევს მოსწავლეს და ცნობისმოყვარეობით შეეცდება პროდუქტის შექმნას.

	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, შესაბამისობის გეგმის მიხედვით ლაბორატორიის მოწყობა იგეგმება 2027 წლის 27 მაისს და შესაბამისად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში ვხდებით დავალებებს რომლის ჩასატრებლადაც ლაბორატორიის არსებობა არ არის აუცილებელი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ყოველდღიური ცხოვრებიდან უამრავი საინტერესო მაგალითის კომპლექსური დავალების პირობად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა და მათ შეუძლიათ საკლასო ოთახებშიც ჩაატარონ შემოქმედებითი გაკვეთილები. საბაზო საფეხურის ფიზიკის კურიკულუმებში ვხვდებით განსაკუთრებით მრავალფეროვან და შემოქმედებით, კეთებით სწავლებაზე დაფუძნებულ დავალებებს. სასურველია კურიკულუმებში ინტეგრირებული იყოს მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, არ გვხვდება მოსწავლეთა რეფლექსიები, სადაც მოსწავლე აანალიზებს რა გამოუვიდა კარგად, რატომ და რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება რამაც წარმატება მოუტანა. ჩვენი ინტერვიუს პროცესში კათედრამ გამოხატა მზაობა მომავალი სასწავლო წლისათვის გაეთვალისწინებინათ აღნიშნული რათა მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები იმსჯელოს, გააკეთოს დასვნა რაც უდაოდ გამოიწვევს მასში თვითკმაყოფილებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. რჩევა: სასურველია სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შემუშავებაში ჩართოს სასკოლო საზოგადოება და მეტად მოარგოს მათ ინტერესებს. რჩევა: ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მისიიდან გამომდინარე, სასურველია შემოქმედებითი დავალებების წილი გაიზარდოს საშუალო საფეხურზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე III – IV კლაებში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჭრილიდან გათვალისწინებულია საგანი ,,მე და საზოგადოების“. V – VI კლასებში ,,ჩვენი საქართველოს“, საბაზო საფეხურზე ,,ისტორიის“; ,,მოქალაქეობისა“ ,,გეოგრაფიისა“ და ,,საქართველოს გეოგრაფიის“, საშუალო საფეხურზე კი სავალდებულო საგნების - ,,საქართველოს ისტორიის“; ,,მსოფლიო ისტორიის“; ,,მოქალაქეობისა“ და ,,გეოგრაფიის“ სწავლება. აღნიშნული საგნის სწავლების დაგეგმვა და განხორციელება

	ხდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმის საშუალებით. აღნიშნული დოკუმენტი კი შექმნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, მასწავლებელთა შორის ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად. შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები ნათლადაა ორიენტირებული სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მოსწავლის / მოსწავლეების განვითარების შესაძლებლობებზე მიზნობრივად ორიენტირებული. აღნიშნული საგნის კურიუკულუმის მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში სკოლის საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. სკოლისა და მათ შორის საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ასახავს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი და საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები	კურიკულუმი შემუშავებულია წინასწარ, სასწავლო წლის დაწყებამდე, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. დაწყებით საფეხურზე შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების რაოდენობა ინგლისურ ენაში უმეტესად არის 1 ან 2; დავალების პირობა გასაგები, დაძლევადი და თემის შესაბამისია. კურიკულუმები აგებულია მე-3 თაობის ესგ-ის სამიზნე ცნებებზე. საბაზო საფეხურის ინგლისურის კურიკულუმში დაგეგმილია ერთ შემოქმედებითი ტიპის დავალებაზე მუშაობა. მე-7 კლასის კურიკულუმის მიხედვით, დავალების პირობა ითვალისწინებს ორი პროდუქტის; პოსტერი და ფლაერი, ხოლო მე-8 კლასის კურიკულუმში — პოსტერისა და ბუკლეტის შექმნას. ინგლისურის საბაზო საფეხურის კურიკულუმები აგებულია მე-3 თაობის ესგ-ის სამიზნე ცნებებზე. საშუალო საფეხურზე ინგლისურის კურიკულუმები აგებულია მე-3 თაობის ესგ-ის სამიზნე ცნებებზე, ერთი კომპლექსური დავალებით; დავალების პირობა მკაფიო და გასაგებია. თემების დასახელება გადატანილია ძირითადი სახელმძღვანელოდან. მთლიანობაში, შემუშავებული

	კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასურველია, საბაზო საფეხურზე, მე–7 და მე–8 კლასში, ინგლისურის მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს ერთი კონკრეტული პროდუქტის მომზადება თემაზე მუშაობის დასაწყისში. მე-9 კლასის შემოქმედებითი დავალების პირობა ლაკონურად და გასაგებად იქნეს ფორმულირებული. რაც შეეხება რუსულ ენას – კურიკულუმებში შეტანილ იქნეს შემოქმედებითი დავალებების განხორციელებადი რაოდენობა და მე–11 კლასის კურიკულუმში ძირითადი რესურსიდან (სახელმძღვანელო) გადატანილ იქნეს თემების შინაარსობრივი დასახელება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კუიკულუმით შერჩეული განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან და საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. დოკუმენტში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, შესაბამისი სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებები. რჩევა: ყველა საფეხურის კურიკულუმში მიზანშეწონილია რესურსების სვეტის სრულყოფილად შევსება, კერძოდ: სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდების, ელექტრონული მისამართებისა და გამოყენებული მატერიალური რესურსების დეტალური მითითება. ასევე, სასურველია თემების სახელწოდებების ფორმულირება შესაბამისობაში იყოს საგნობრივ სტანდარტთან და კურიკულუმში ნათლად იყოს წარმოდგენილი თემების მიხედვით საათობრივი განაწილება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. კურიკულუმები წარმოადგენენ სტრუქტურირებულ დოკუმენტებსს და მოიცავენ აუცილებელ კომპონენტებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგნისთვის შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. იგი ეფუძნება ეროვნული
	სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია აქტიური და პრაქტიკული სწავლების პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის ტრანზიციის დოკუმენტი ითვალისწინებს მოქნილ რეაგირებას სხვადასხვა სიტუაციაზე: მაგალითად, ტრანზიციის პერიოდებს (საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, ახალი მოსწავლის ინტეგრაცია), სადაც დამრიგებლისა და მასწავლებლის როლია გამოკვეთილი, რათა მოსწავლეებმა მარტივად და სტრესის გარეშე გადალახონ ცვლილებები. დოკუმენტი პასუხობს მოთხოვნას, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ის უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიდგომების, მრავალფეროვანი მხარდაჭერისა და დროული რეაგირების მექანიზმებს. აღწერილია ახალი მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები (ინფორმაციის მიწოდება, კლასში ინტეგრაცია, წარდგენა თანაკლასელებს, კომუნიკაცია მშობლებთან). ასევე გათვალისწინებულია უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლის დასახმარებელი წესები; სკოლის ხედვით კლასის დამრიგებელს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსწავლის ემოციურ და სოციალურ ადაპტაციაში. ადაპტაციის მექანიზმები დეტალურადაა გაწერილი გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის საჭიროება (ახალი მოსწავლე, უცხოეთიდან დაბრუნებული, სსსმ მოსწავლე). ტრანზიციები ყველა საფეხურზე გაძლიერბულია (ბაღი-სკოლა-უნივერსიტეტი/პროფესიული). რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლესთან უზრუნველყოფს ცვლილებებზე დროულ რეაგირებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი , კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. ფლობენ განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს. თუმცა, როგორც დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში აგრეთვე საბაზო და საშუალო საფეხურზე ბიოლოგიისა და ფიზიკის კურიკულუმებში დასაზუსტებელი იყო სავალდებულო თემისა და სამიზნე ცნებების შესაბამისობა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გამოხატეს მზაობა აღნიშნულის შესასწორებლად. კურიკულუმებში დაზასუსტებელი იყო კონტესტ მაგალითები და მაგალიტები შედარებისათვის თუმცა კათედრაზე იგრძნობოდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, აქვთ მზაობა, რომ ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალებისა და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები რაც გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათისა და ნებელობის განვითარებაზეა ორიენტირებული. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს. შეაფასოს, შეძლოს თვითშეფასება რაც ეხმარება მისი პიროვნული უნარ-ცვევენის ჩამოყალიბებასა და ითხოვს არა მხოლოდ ამ უნარების აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

	რჩევა:სასურველია დაწყებითი საფეხურის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემისა და სამიზნე ცნებების შესაბამისობა,შეძლებისდაგვარად სრულყოფილად იქნეს აღწერილი მაგალითები შედარებისათვის და კონტექსტ მაგალითი, რათა შესაძლებელი იყოს კომპლექსური დავალების პირობის უკეთესად გააზრება რჩევა: სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურზე ბიოლოგიისა და ფიზიკის კურიკულუმებში სავალდებულო თემები შესაბამისობასი მოიყვანოს საგნობრივ სტანდარტთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის საგნის სწავლება სრული შესაბამისობითა და თანხვედრით ხორციელდება და განხორციელდება მომდევნო სასწავლო წელსაც, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებზე დაყრდნობით. სწორედ მიზნებთან მიმართებით ყალიბდება ის საკითხები, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება საგნის სწავლებისას სავალდებულო თემების გავლით სასწავლო პროცესი. სავალდებულო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების ფორმატით დამუშავება ხორციელდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე და კომპლექსური დავალებების დამუშავებით მოცული არის საგნისათვის გათვალისწინებული ყველა ცნება. ყველა სახის დავალება კი მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტისა და მოვლები ანალიზის, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, შეხედულებებისა და მოსაზრებების დაცვას, დასკვნის გამოტანას, არგუმენტის შეფასებას და პრობლემის უნარის გადაჭრის უნარის განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული საგნის კურიკულუმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმი ნაწილობრივ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ინგლისურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მე-3 თაობის ესგ-ის სამიზნე ცნებები და შედეგები.

	სასურველია, რუსულის მე-8, მე-9, მე-10 და მე-12 კლასების კურიკულუმებში გვხვდებოდეს მე–3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებები და შედეგები მეორე უცხოური ენის სტანდარტიდან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,შემოქმედებითი დავალებები) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული შემოქმედებითი დავალებების და პროექტის ნიმუშებიდან და განხორციელების საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კონკრეტული ნიმუშები გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად და მოიცავს ყველა სამიზნე ცნების დამუშავებას. გაწერილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზნებზე. კურიკულუმში შეტანილი შემოქმედებითი დავალებების გარდა, განხორციელებულია დავალებები, როგორიცაა პროექტები, პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც ასევე ემსახურება შუალედური მიზნების მიღწევას. რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სვეტის სახელწოდება: „კომპლექსური დავალების იდეა“, ჩანაცვლდეს „შემოქმედებითი პროდუქტის მომცემი
	დავალებით“, სრულად აისახოს ყველა ტიპის დავალება, რომელიც იძლევა შემოქმედებით პროდუქტს და მიმართულია შუალედური მიზნების მიღწევისაკენ. დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ქვეცნებების ტერმინოლოგია დაზუსტდეს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულემები სრულ შესაბამისობაშია ესგ-ის სტანდარტთან. კურიკულუმების ჩარჩოში მოცემულია თემების დასახელება, სამიზნე ცნებები, გასავლელი საკითხები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმები დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი სასწავლო რესურსებით. ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, გრიფირებული სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. აგრეთვე კურიკულუმებში უხვად არის წარმოდგენილი ონლაინ რესურსები და ვიდეო ბმულები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ რესურსებად იყენებენ თავისივე შექმნილ ან სახელდახელოდ მომზადებულ რესურსებს, ვინაიდან საბუნებისმეტყველო საგნები იძლევა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებიდან ნივთების რესურსებად გამოყენების საშუალებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების მიერ სასწავლო პროცესისას გამოყენებული რესურსები (სახელმძღვანელოები, თემატური რუკები, ინტერნეტ პორტალის ლინკები და სხვა ისეა წარმოდგენილი, რომ ისინი მკაფიოდ შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ თემასა და საკითხებს. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის / მოსწავლეების ასაკობრივი, გონებრივ - ინტელექტუალური შესაზლებლობები და საჭიროებები და რაც მთავარია ისინი სრულად უზრუნველყოფენ კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების საბოლოო შედეგის დადგომას. რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები და რეკომენდაციები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	უცხოური ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ორი ტიპის რესურსი: ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და ინტერნეტში მოძიებული ბმულები, რომელთა უმეტესობა შეესაბამება თემის შინაარსსა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ზოგი მათგანი უზრუნველყოფს შესასწავლი საკითხის სიღრმისეულ წვდომას, ხოლო ზოგი აჩვენებს და ასწავლის მოსწავლეებს, პრაქტიკულად როგორ შექმნან შემოქმედებითი პროდუქტი დავალებაზე მუშაობისას. დაწყებით საფეხურზე, ინგლისურსა და რუსულ ენაში, ბმულები ადვილად წვდომადი და ასაკისთვის შესაფერისია. საბაზო საფეხურზე, რუსულ ენაში, მე-8 კლასის კურიკულუმის ბმულები თემისა და დავალების შესაბამისია და იხსნება. მე-10 კლასის ინგლისურის კურიკულუმში შეთავაზებული დამატებითი რესურსის ბმული იხსნება და დავალებისა და ასაკისთვის შესაფერისია. საშუალო საფეხურზე, ორივე ენაში, მე-11 კლასის კურიკულუმში დამატებითი

	რესურსი დავალებისა და ასაკისთვის შესაფერისია. მთლიანობაში, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასურველია, ინგლისურის მე-6 კლასის კურიკულუმის მეორე კომპლექსურ დავალებას ახლდეს კონტექსტ-მაგალითიც. მე-9 კლასის ინგლისურის კურიკულუმში შეთავაზებული ვიდეო სამეზობლოს შესახებ შეიცვალოს რომელიმე ქალაქის ან ადგილის ზოგადი აღწერით, რაც მოსწავლეებს დავალების; „ლონდონის აღწერა“ შესრულებას უფრო გაუადვილებს. მე–12 კლასის ინგლისურის კურიკულუმში ორივე კომპლექსური დავალებისათვის, ვიდეოს ხანგრძლივობა შემცირდეს ან შეიცვალოს, რათა მოსწავლეებისათვის მათზე მუშაობა უფრო ხალისიანი და პროდუქტიული გახდეს. უცხოური ენის კათედრამ უზრუნველყოფს ინგლისურის მე-7 და მე-8 კლასებისა და რუსულის მე-7 კლასის კურიკულუმში შეთავაზებულ ბმულებზე წვდომა. გადაიხედოს რუსულის მე-10 კლასის კურიკულუმი; განახლდეს სკოლის დასახელება და მოსწავლეებს მიეწოდოს შესასრულებელი კომპლექსური დავალებების შედარებით მცირე რაოდენობა. მიწოდებულ შინაარსს ახლდეს შესაბამისი ბმულები (თუნდაც სქრინის ან სურათის სახით) „ძირითადი რესურს-მაგალითი“–სა და „მაგალითები შედარებისთვის“–ს სვეტებში. მე-12 კლასის რუსულის კურიკულუმს ახლდეს ბმულები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული რესურსებიდან ასევე სკოლის მიერ გადმოიგზავნი რესურსების ამსახველი ფოტო მასალიდან და განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებიდან და პროექტიდან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა	სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსები. რჩევა: სამივე საფეხურის კურიკულუმში სვეტის სახელწოდება „რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის“ ჩანაცვლდეს „სასწავლო რესურსებით“ და სრულად აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში წარმოდგენილია ონლაინ რესურსები და ვიდეობმულები. ასევე, სკოლას წარმოდგენილი აქვს პრაქტიკული (კომპლექსური) დავალებების მაგალითები, სადაც მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში წარმოდგენილია დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის, ციფრული და ინტერნეტრესურსები, ვიდეომასალა და ვიზუალური დემონსტრაციები.სასწავლო პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, ასევე საჭიროების შემთხვევაში თავად ქმნიან დამატებით სასწავლო მასალებს, რაც ხელს უწყობს საკითხების უკეთ გააზრებას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. გამოყენებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები როგორც სახელმძღვანელოების ასევე სხვადასხვა ბმულებისა და ინტერნეტრესურსების სახით. კომპლექსური დავალებების პირობები მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობებს იძლევა: პოსტერის, პრეზენტაცის,ბუკლეტისა და სხვა. შესაბამისად, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას როგორც ფორმით ასევე შინაარსით. სასწავლო პროცესში

	დიფერენცირებული სწავლება ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნის სწავლება ყველა საფეხურზე ხორციელდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. სწავლისადმი ამგვარი დამოკიდებულება და მიდგომები აღიალებულია და ადმინსტრირებულია სკოლაში მოქმედი დოკუმენტებით. კერძოდ კი, სწავლისადმი ასეთი მიდგომები დეტალურადაა გაწერილი და ასახულია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და საგნობრივ კურიკულუმებში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მაწავლებლები ითვალისწინებენ არა მარტო სსსმ. მოსწავლეების, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, შემოქმედებით უნარებსა და ინტერესებს. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების დამუშავების საფუძველზე შესაქმნელი პროდუქტის სხვადასხვა სახეს მოსწავლეების სთავაზობენ მასწავლებელები, იქნება ეს ციფრული საპრეზენტაციო მასალა, ბუკლეტი, მაკეტი, ესე, რეფერატი, პოსტერი, კარტოგრაფიული ნამუშევარი და სხვა. ეს ყოველივე კი ნათლადა და მკაფიოდ იძლევა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების უკეთ რეალიზების შესაძლებლობას. საგნის სწავლებისას გამოყენებული სასწავლო რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. მათი მრავალგარობა და მრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. ეს კი, სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის ჩართვას ითვალისწინებს ცალსახად. მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკული და სკოლაში მოქმედი სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი მექანიზმების საშუალებთ ფლობენ სსსმ. მოსწავლეებთან მუშაობისათვის საჭირო ფორმალურ და არაფორმალურ მხარეებს. (დოკუმეტტაციის წარმოება, სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები). აღნიშნული კუთხით მასწავლებელებს შესაძლებლობაც და მზაობაც აქვთ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები	სკოლაში 4 სსსმ მოსწავლეა და უცხო ენის მასწავლებლები მათთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით ხელმძღვანელობენ. კათედრამ გააზიარა მოსწავლეთა ნამუშევრები, სადაც კარგად ჩანს, რომ გაკვეთილის მსვლელობისას გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები და ხდება დავალებების დიფერენცირება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებმა გასაუბრებაზე ანიშნეს, რომ ახდენენ კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალებების დიფერენცირებას კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული მუსიკის და სახვით ხელოვნების სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშებიდან გამომდინარე, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან, აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე აღნიშნული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა და წარმოადგინეს კიდეც სახელმწიფო ენის სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები. . დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და უნარები მიხედვით. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები , რომლებიც იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას, რაც სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების კარგი წინაპირობაა. გასაუბრებიდან ასევე გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებსაც. პედაგოგებს აქვთ ინდგეგმაზე მუშაობის გამოცდილება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული დავალებები შეესაბამება დასახულ სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ სწავლას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და სწავლების სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური ტემპით განვითარებას. მასწავლებლები არეგულირებენ ფიზიკურ დატვირთვას, სთავაზობენ მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის დავალებებს. ამ ეტაპზე სკოლაში არ სწავლობენ ბავშვები, რომლებსაც ესაჭიროებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ინკლუზიურობას და მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილებას. გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობები ეყრდნობა მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და უნარებს. შემოქმედებითი ხასიათის დავალებები შედგენილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ აქტიურად და წარმატებით შეასრულონ ამოცანები საკუთარი ტემპითა და სტილში. ამგვარი მიდგომა ქმნის თანაბარ, მრავალფეროვან და მოტივაციის ამაღლებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეული მოსწავლე თავს ხედავს მნიშვნელოვან მონაწილედ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირველი კლასის მოსწავლის ისგ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მათ აქვთ შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების
	გათვალისწინებით. კლასები იმდენად მცირერიცხოვანია,(1,ან 2 მოსწავლეა) რომ ფაქტობრივად ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ მოსწავლესთან. ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებლი შეფასების რუბრიკები და სქემები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარბელი შეფასების ეფექტიანობაზე როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებეში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში რაც ზრდის სანდოობას. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს რაც გამჭირვალობის დასტურია .სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოქმდი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად დაწყებითი საფეხურის (III – IV კლ.) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი შეფასებებით, ხოლო V -XII კლასი მოსწავლეების შეფასება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული შეფასების ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნის პერიოდულ მონიტორინგსა და დიაგნოსტირებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის

	შეფასების პროცესი კი სრულდება განმსაზღვრელი ან და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ამგვარ მექანიზმს ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი ჭრილით თემატიკის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებები მკაფიოდაა გაწერილი შეფასების რუბრიკებში. ხოლო განმსაზღვრელი შეფასებების მრავალგვარობა და დეტალიზება განხორციელებულია შემაჯამებელი სამუშაოს ფორმებში. განმავითარებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციებისა და კუნსულტაციის გაწევა მოსწავლეებზე ასათვისებელი ან და, გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა სწავლა - სწავლების სტატისტიკური მონაცემების შექმნას და ასევე სწავლის დინამიკის აღწერას. კერძოდ: ... თუ სად იყო მოსწავლე ამა თუ იმ საკითხის დამუშავებისას და სად მივიდა, რა შედეგს მიაღწია სწავლა - სწავლების პროცესში. რა კონკრეტული მეთოდები, რესურსები და ინსტრუმენტები იქნება საჭირო მიზნამდე მისასვლელად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის მიერ შემუშავებული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მათ შერჩეული აქვთ შერეული შეფასების მოდელი: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება 5 დონის მიხედვით. ინგლისურ ენაში შემოთავაზებული შეფასების რუბრიკები თანხვედრაშია კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში წარმოდგენილ შუალედურ მიზნებთან და არის ანალიტიკური ხასიათის. რუსულ ენაში შეფასების რუბრიკები ჰოლისტურია (პრეზენტაციის, პროექტის, საკლასო მუშაობის ზოგადი რუბრიკებია). წარმოდგენილია შემაჯამებლის ანალიზი ინგლისურ ენაში. სასურველია, ორივე ენაში, უცხოური ენის კათედრამ შერეულად გამოიყენოს ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკები სწავლებისას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა	სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან

	მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, თუმცა აქვე ავღნიშნავ რომ მუსიკის საბაზო საფეხურზე გადმოგზავნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და საჭიროებს უფრო მეტად დაკონკრეტებას კურიკულუმში ასახული თემების, საკითხების და კონკრეტული შემოქმედებითი დავალებების მიხედვით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული დავალებების შეფასების კრიტერიუმები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთასა და ამოცანებს შეესაბამება სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი ისეთი შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა: დავალების პირობისა და ტექსტის გააზრების შეფასების რუბრიკა, მხატვრული ტექსტის თხრობის შეფასების რუბრიკა; პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა; პროექტის შეფასების სქემა და სხვა ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა	შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების მრავალმხრივ შეფასებას. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების მიდგომები, რაც ხელს უწყობს როგორც სწავლის შედეგების შემოწმებას. შეფასების პროცესში გამოყენებულია კრიტერიუმებზე დაფუძნებული რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას, ხოლო განმავითარებელი უკუკავშირი ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესისა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ფასდება მოსწავლეების ჩართულობა, ტაქტიკური და ტექნიკური მომზადება,
	კონკრეტული სპორტის სახეობებში ტექნიკური ელემენტების დაუფლების ხარისხი. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების პედაგოგებმა წარადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებზე შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიცავს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ელემენტებს. შეფასების რუბრიკები ასახავს მოსწავლეთა პროგრესს და დეტალურად აჩვენებს მათ შესაბამისობას საგნობრივი შედეგებისა და საფეხურის ინდიკატორებთან. წარმოდგენილი რუბრიკები შექმნილია ტექნოლოგიების სტანდარტების გათვალისწინებით და ემსახურება გრძელვადიანი საგნობრივი მიზნების მიღწევას. სკოლამ წარმოადგინა კონკრეტულ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებულია საგნობრივ სამიზნე ცნებებზე და უკავშირდება სწავლა-სწავლების მეთოდურ რეკომენდაციებს. წარმოდგენილი მასალები სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ხელს უწყობს სწავლების პროცესში მოსწავლეთა უნარების მრავალმხრივ განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა. რჩევა: კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ საგნობრივ სტანდარტებს და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
საგნობრივი კურიკულუმები; კათედრის ოქმები;
შეფასების რუბრიკები; სასკოლო სასწავლო გეგმა;
ვერიფიკაციის მექანიზმი;
დაწყებითი საფეხურის (მე და საზოგადოება; ჩემი საქართველო) კურიკულუმი; საბაზო საფეხურის (ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი; საშუალო საფეხურის (საქართველოს ისტორია; მსოფლიო ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი; შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები / შაბლონები; დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები; განმავითარებელი შეფასების მაგალითები; კათედრის ოქმები;
კომპლექსური დავალებების მაგალითები; კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ამსახველი მასალა; განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
დამატებითი საეტაპო აქტივობები;
საგნობრივი კურიკულუმები მათემატიკაში: I-XII კლასები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული დავალებები; შემოქმედებითი ბუნების დავალებები: შეფასების რუბრიკები; შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები; შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები უცხოური ენის კათედრის
მიერ გაზიარებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მასალები; შემაჯამებლის ნიმუშები
და ანალიზი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც სკოლა ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესის შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტაციით. კომპლექსური თუ შემოქმედებითი დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. კათედრა მთავარ როლში აყენებს მოსწავლეებს, მის საჭიროებებსა და ინტერესებს, შესაძლებლობას აძლევს ჩართული იყოს სკოლაში მიმდინარე ნებისმიერ შემოქმედებით პროცესში. კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და შეიმეცნოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და გამოხატავენ მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ კლასში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის სწავლება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმების საფუძველზე. დავალებების თემატიკა, კომპლექსური დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოების თემატურადაა განაწილებული, წინასწარ დაგეგმილი, თანამშრომლობითი ურთიერთობის საფუძველზე შედგენილი კურიკულუმების შესაბამისა. შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები ნათლადაა ორიენტირებული სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი

	კურიკულუმები ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ ისინი მოსწავლის საჭიროებებზე არის ორიენტირებული. აღნიშნული საგნის კურიუკულუმის მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტებსა და ინდიკატორებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა: კათედრის სამოქმედო გეგმა, საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები ინგლისურ და რუსულ ენებში, შეფასების მასალები, ისგ გეგმები, განხორციელებული შემაჯამებლის ანალიზისა და განმავითარებელი შეფასების ნიმუში, მე-8 კლასში განხორციელებული შემოქმედებითი დავალების მასალები (შუალედური მიზანი, შეფასება, მოსწავლის ნამუშევარი, მასწავლებლის რეფლექსია), მე-5 კლასში განხორციელებულ შუალედურ მიზანზე (გენეალოგიური ხე) რუსული ენის მასწავლებლის მიერ დაწერილი რეფლექსია, არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა და მასწავლებლის რეფლექსია. უცხოური ენის კათედრაზე ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, სადაც ხდება ურთიერთდასწრება და ურთიერთშეფასება. მასწავლებლები მსჯელობენ განხორციელებული და განსახორციელებელი შემოქმედებითი დავალებების რაოდენობაზე, აქტივობების განმეორებასა და შეცვლაზე, ასევე დავალების განხორციელებისთვის საჭირო საგაკვეთილო საათების რაოდენობაზე. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა მუსიკის და სახვითი ხელოვნების დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე წელს მოსწავლეების მიერ განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები, ასევე სახვითი ხელოვნებაში განხორცილებული პროექტის პრეზენტაცია, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში მცირე ცვლილებების შეტანაც. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი თითოეულ საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმთან შესაბამისობაში განხორციელებულია თემებისა და სამიზნე ცნებების სისტემური დამუშავება. თემების მიხედვით შესრულებულია როგორც შემაჯამებელი სამუშაოები, ისე შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ განხორციელებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლაში სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, რაც დასტურდება როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ემთხვევა წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმს და სრულად ასახავს მის მოთხოვნებსა და მიზნებს. ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის
	საფუძველზე დასტურდება, რომ სწავლება მიმდინარეობს კურიკულუმით განსაზღვრული თემების, აქტივობებისა და დავალებების მიხედვით. სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები, კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი მიზნების ეტაპობრივ მიღწევას. ამრიგად, სასწავლო პროცესი ტექნოლოგიების საგანში არის თანმიმდევრული, მიზანმიმართული და შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და მიზნებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი-დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით-დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლების პროცესი ნათლად აღწერეს მასწავლებლებმა . რჩევა: სკოლას მივეცი რჩევა სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის ადაპტაციის და სოციალიზაციის დოკუმენტი ითვალისწინებს მოქნილ რეაგირებას სხვადასხვა სიტუაციაზე: საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, ახალი მოსწავლის ინტეგრაცია, სადაც

დამრიგებლისა და მასწავლებლის როლია გამოკვეთილი, რათა მოსწავლეებმა მარტივად და სტრესის გარეშე გადალახონ ცვლილებები. დოკუმენტი პასუხობს მოთხოვნას, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ის უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიდგომების, მრავალფეროვანი მხარდაჭერისა და დროული რეაგირების მექანიზმებს. აღწერილია ახალი მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები (ინფორმაციის მიწოდება, კლასში ინტეგრაცია, წარდგენა თანაკლასელებს, კომუნიკაცია მშობლებთან). ასევე გათვალისწინებულია უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლის დასახმარებელი წესები; სკოლის ხედვით კლასის დამრიგებელს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსწავლის ემოციურ და სოციალურ ადაპტაციაში. ადაპტაციის მექანიზმები დეტალურადაა გაწერილი გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის საჭიროება (ახალი მოსწავლე, უცხოეთიდან დაბრუნებული, სსსმ მოსწავლე). ტრანზიციები ყველა საფეხურზე გაძლიერბულია (ბაღი-სკოლაუნივერსიტეტი/პროფესიული). რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლესთან უზრუნველყოფს ცვლილებებზე დროულ რეაგირებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რას შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აგრეთვე ისაუბრეს, რომ მოსწავლეებმა ყოველთვის წინასწარ იციან პროექტის შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებებში საკითხების მაქსიმალური ქულები, საშინაო დავალების შეფასების ინსტრუმენტები; სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი დებულების მიხედვით შემუშავებულია ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, ვერიფიკატორთა გუნდი ბრძანებით დამტკიცებულია. ვერიფიცირება ხდება კათედრის წევრების მიერ, აფასებენ სხვა კათედრის პედაგოგებს. სკოლაში დანერგილია და თანამშრომლობითი გარემოთი დასტურდება, რომ მუშაობს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტიც. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი საგნობრივი გაერთიანების თითოეული საგნობრივი ჭრილის სწავლებისას დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შეფასებებს. მასწავლებელები აქტიურად იყენებენ შეფასების მრავალდგვარ მეთოდსა და საშუალებას, რომელიც თავისთავად ასახვას ჰპოვებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებში. ... და რაც მთავარია შეფასების რუბრიკებით დათლად ჩანს, ის ფაქტი რომ შეფასებას მოსწავლეთა წარმატებისა და აღიარებისათვის იყენებენ. შეფასების ყველა სისტემა არის სამართლიანი, ობიექტური, გამჭვირვალე და სანდო. მასწავლებელთა მიერ გამოყენებული სხვადასხვა გვარი სისტების შეფასების რუბრიკები, გკაფიოა და დამატებით კითხვებს არ იწვევს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრას შემუშავებული აქვს ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. ინგლისურ ენაში, სამივე საფეხურზე, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება სრულად მიემართება წინასწარ შემუშავებულ შუალედურ მიზნებს და ეყრდნობა მე3 თაობის ესგ-ის სამიზნე ცნებებს. სასურველია, რუსულის შუალედური მიზნების დამუშავებისას სასწავლო პროცესში მოხდეს მეტი ანალიტიკური (სამიზნე ცნებებზე მორგებული) მოდელის გამოყენება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი, შეფასებისას. ორივე საგანში მასწავლებლებმა წინასწარ გააცნონ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკები და საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების ფორმები უფრო მრავალფეროვანი (მოსწავლეთა ურთიერთშეფასება, მასწავლებლის თვითშეფასება, მასწავლებლის კომენტარი, დაკვირვების რუბრიკა, ლაპარაკის შეფასების რუბრიკა, შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის გეგმა, მოსმენის შეფასების რუბრიკა, მოძიებული ინფორმაციის შეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა პორტფოლიოები და ა.შ.) გახდეს. . ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა	სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან

	მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით) აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. წარმოდგენილ შემაჯამებელ და შემოქმედებით დავალებებს ახლავს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც, ინტერვიუს მიხედვით, მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ზრდის ნდობას. რჩევა: დავალებებში მკაფიოდ იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, რაც ნათელს გახდის შეფასების ვალიდურობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს, მიემართება შედეგების ინდიკატორებსა და გრძელვადიან მიზნებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სიზუსტესა და სანდოობას. კურიკულუმში გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია კონკრეტულ დავალებებთან და სამიზნე ცნებებთან, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების ობიექტურად შეფასებას. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. რჩევა: სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.
	ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შეფასები სისისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს შეფასების ხარისხის მართვისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ახორციელებს ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს: შერჩევის საკითხს, ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირს, განმახორციელებლებს, პროცედურას და თითოეული ეს საკითხი აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია ცალკე. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის ერთგვარ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს. სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება შეფასების სიზუსტეს, სანდოობასა და პროცესების გამჭვირვალობას. სკოლამ თითოეულ საგანში წარმოადგინა ვერიფიკატორის მიერ დაწერილი შემაჯამებელი დავალების შემოწმების შედეგები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში. ამასთან, შეფასებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების წარმოება, აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სკოლის საქმისწარმოების წესის მიხედვით. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები; ვერიფიკაციის
წესი; შეფასების რუბრიკები; კათედრის
ოქმები;

გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;

დაწყებითი საფეხურის (მე და საზოგადოება; ჩემი საქართველო) კურიკულუმი; საბაზო საფეხურის (ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი; საშუალო საფეხურის (საქართველოს ისტორია; მსოფლიო ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი; კომპლექსური დავალების პირობები და ბარათები; შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები / შაბლონები; მე–8 კლასში განხორციელებული შემოქმედებითი დავალება ინგლისურში, ურთიერთდასწრების მასალები, არაფორმალური აქტივობების მასალა.

განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მასალები, შემაჯამებლის
ნიმუში, რუბრიკა და ანალიზი.

საქმისწარმოების წესი;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. გარდა სახელმძღვანელოებისა სკოლა აქტიურად იყენებს ინტერნეტში გავრცელებულ ონლაინ რესურსებს, ვიდეო რგოლებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დამზადებულ რესურსებზეც, მაგალითად, ფიზიკის მასწავლებელმა ისაუბრა დინამომეტრის შექმნის კომპლექსური დავალების გახორციელების პროცესზე, რომ ეს ხელსაწყო შემდეგ გამოყენებულ იქნა სხვა კლასში რესურსად რამაც მოსწავლეებზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა. საბუნებისმეტყველო საგნების უპირატესობა

	მდგომარეობს იმაში, რომ ყოველდღიური მოხმარების ნებისმიერი ნივთის გამოყენებაა შესაძლებელი ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის რესურსებად, რაზეც ინტერვიუს დროს საუბრობდნენ მასწავლებლები. ინდიკატორი შესაბამისაობაშია

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ კლასში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის სწავლება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმების საფუძველზე. დავალებების თემატიკა, კომპლექსური დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოების თემატურადაა განაწილებული და ყველა მათგანი ითვალისწინებს ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. რესურსების ხელმისაწვდომობა კი უზრუნველყოფილია მათი სასწავლო პროცესში გამოყენებით. ყველა სახის რესურსი ორიენტირებულია თემატიკაე და მათი გამოყენებით ხორციელდება სასწავლო პროცესი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა „გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა“, ასევე კურიკულუმებს ახლავს დამხმარე რესურსები ელექტრონული ბმულების სახით. სასურველია, მე-12 კლასის კურიკულუმში გადაიხედოს დამხმარე რესურსები და მოხდეს მოსწავლეების დროით რესურსზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შექმნილ დამატებით აქტივობებს, ტელესკოლის ვიდეო რესურსებს და შემოქმედებით დავალებებს რომელსაც დიფერენცირებულად არგებენ სხვადასხვა კლასებს, ეს ასევე დასტურდება მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე წელს განხორციელებული შემოქმედებითი

	დავალებებით და დამატებიტი აქტივობებით, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები სრულად შეესაბამება საგნის თემატიკას და ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე. რჩევა: ყველა საფეხურის კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები; კერძოდ, მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, დაზუსტდეს გამოყენებული ელექტრონული წყაროების (ბმულების) მისამართები, შეიტანონ გამოყენებული მატერიალური რესურსები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, საკითხის შესაბამისი ელექტრონული რესურსები, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებლები სისტემატურად იყენებენ ძირითად რესურსებს, მათ შორის ინტერნეტში ხელმისაწვდომ დამატებით მასალებს, ვიდეოგაკვეთილებსა და ვიზუალურ დემონსტრაციებს, რაც აძლიერებს სწავლის მოტივაციას და იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის საშუალებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს,ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კათედრები განიხილავენ და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ამტკიცებენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ დამხმარე სასკოლო სასწავლო რესურსების ვალიდურობას. სკოლას არ წარმოუდგენია ცალკე რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი, თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეიმუშავებენ. რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს და იხელმძღვანელოს დამხამრე რესურსების ვალიდაციის წესის დოკუმენტით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი საგნობრივი ჭრილის მასწავლებელების მიერ ხორციელდება საგნობრივი სასწავლო რესურსების წინასწარი შერჩევა, ეს პროცედურა კი ხორციელდება სკოლაში არსებული პროცედურების სრული დაცვით. მათი შერჩევისას უპირატესი ყურადღება ექცევა შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ მიზნებსა და სტანდარტებს. კათედრაზე არსებობს მძლავრი ურთიერთთანამსრომლობისა და კონსულტირების ტრადიცია, სადაც ხდება თემატიკის შესაბამისი რესურსების შერჩევა, არგუმენტირებული განხილვა - გაანალიზების საფუძველზე. რესურსების ნაირგვარობა და შინაარსის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ასაკობრივი გონებრივ - ინტელექტუალური და საჭიროებების გათვალისწინებით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	სამივე საფეხურის კურიკულუმებს ახლავს დამხმარე რესურსები, რომელთა ვალიდაციაც ხდება კათედრაზე სასწავლო გეგმის შემუშავებისას. სასურველია, კათედრამ „დამხმარე რესურსების“ ნუსხაც იქონიოს სამუშაო მასალებში, როგორც სასწავლო პროცესში დამატებითი სახელმძღვანელოების გამოყენების მტკიცებულება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა	სახვითი ხელოვნების და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი და სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი აქტივობები, შემოქმედებითი დავლაებები განხილულია და შესწავლილია კათედრის მიერ და აღნიშნული რესურსები ძირითადად შერჩეულია სამინისტროს რესურსებიდან და ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილებიდან, აქედან გამომდინარე აღნიშნული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სკოლაში დანერგილია დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი. როგორც ინტერვიუებიდან იკვეთება, დამხმარე რესურსების შერჩევა და მათი შესაბამისობის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებთან ხორციელდება კათედრის ფორმატში. აღნიშნული რესურსები ორიენტირებულია სწავლის ხარისხის ამაღლებაზე, არის შინაარსობრივად გამართული, ეფექტური და სრულად პასუხობს სასწავლო პროცესის საჭიროებებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებელთა მონაწილეობით და შეთანხმებით, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობას საგნობრივ კურიკულუმთან და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. დამხმარე რესურსები შეირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. გამოყენებული რესურსები მიზნობრივად არის დაკავშირებული სასწავლო თემებთან და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალური რესურსით, სკოლას ამ ეტაპზე აქვს სკოლას გააჩნია ცალკე ფიზიკის და ცალკე ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილია გამწოვი სისტემითა და გამდინარე წყლით. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ლაბორატორიაში არის თვალსაჩინოებები, ცხრილები, დიაგრამები, მულაჟები(განსაკუთრებით მდიდარია ამ მხრივ ფიზიკის ლაბორატორია) თუმცა, არასაკმარისია/ან საჭიროებს განახლებას შესაბამისი ინვენტარი(ცეცხლგაძლე ზედაპირიანი მაგიდა, მაგიდები, კარადები, ტუმბოები, თაროები). სკოლა მცირეკონტიგენტიანია, მაღალმთიანი რეგიონისაა და ჰყავს ერთი ფიზიკის მასწავლებელი რომელიც ასწავლის ბუნებისმეტყველებასაც და ერთი ბიოლოგიის მასწავლებელი რომელიც ასწავლის ქიმიასაც. პედაგოგები მოტივირებული არიან რომ წელს დაადასტურონ კომპეტენცია შეთავსებულ საგნებშიც. ვფიქრობ, პედაგოგების კვალიფიკაცია იძლევა საშუალებას რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის გამოყებით. რჩევა: სკოლას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს ლაბორატორიის სრულად ეკიპირება 2027 წლის 27 მაისისათვის და სასურველია ამ დრომდე სკოლამ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს საკლასო ოთახების არამარტო შესაბამისი ავეჯით(კარადები, მაგიდები, ტუმბოები, თაროები), არამედ ახალი რეაქტივებით, მოდელებითა და ხელსაწყოებით შევსება/განახლება, რათა არსებობდეს აუცილებელი პირობა ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი ფაქტორის - სკოლაში კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად, რომელიც თავისთავად გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ხოლო სასწავლო პროცესს გახდის სტანდარტით მისაღწევ შედეგზე ორიენტირებულს. რჩევა: სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს რომ ყველა საგნის მასწავლებელი ჰყავდეს შესაბამისი კომპეტენციით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი საგნობრივი ჭრილის სწავლებისას მასწავლებელები უზრუნველყოფენ მოსწავლეების ხელმისაწვდომობას მატერიალურ რესურსებზე. საკლასო, შემაჯამებელი და სხვა ტიპის დავალებების რაოდენობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სკოლის / მასწავლებელების მხრიდან. სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის არსებობა (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, თემატური რუკები, საკლასო წერისა და შემაჯამებელი სამუშაოს ფურცლები, კომპიუტერული სისტემები, დაფა, ვიზუალური თვალსაჩინოებითი მასალები) და მასწავლებელთა მზაობა (კომპეტენცია, მოტივაცია და უნარები) იძლევა ყველა მოსწავლის დაკმაყოფილებისა და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	უცხოური ენების მასწავლებლები სარგებლობენ პირველ და მეორე სართულზე განთავსებული ორი უცხოური ენის კაბინეტით, რომლებშიც ცალ-ცალკე ტარდება ინგლისურისა და რუსულის გაკვეთილები. სასწავლო პროცესში უცხოური ენების მასწავლებლები იყენებენ სახელმძღვანელოებს, ბარათებს, დინამიკებს, ფერად ფურცლებს, მარკერებს, ფორმატის ქაღალდებს, დაფას და ცარცს. სკოლის მატერიალური რესურსი უცხოური ენის მასწავლებლებისა და ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია. რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს „უცხოური ენის კაბინეტებით სარგებლობის განრიგი”. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნშნეს რომ სკოლა მათ უზრუნველყოფს ყველა საჭირო მატერიალური რესურსით ეს დასტურდება სახვით მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის კურიკულუმით გაწერილი მიმდინარე წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტის ნიმუშებით, ასევე რესურსების ამსახველი ფოტო მასალით აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები,

	მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტრესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევა შესაძლებელია სათანადო მატერიალური რესურსით, რომელიც სრულად პასუხობს მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას და მათთვის ხელმისაწვდომია. კურიკულუმებში ასახულია სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ელექტრონული რესურსების გამოყენების პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მრავალფეროვნებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით (სპორტული ინვენტარით), რომელიც მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში. კერძოდ, სკოლას გააჩნია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, რაგბის ბურთები, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, ფეხბურთის კარები, თარჯები, ნიშნულები, თოკის კიბე, ბაგირი, ჰანტელები, ჩოგნები და სხვ. ასევე, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურასა და რესურსებს, რაც შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას და ხელს უწყობს მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და ტექნიკური რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და ეფექტურად გამოიყენება პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებების განხორციელებისას. აღნიშნული გარემო ქმნის პირობებს, რომ სწავლა-
	სწავლების პროცესი წარიმართოს ხარისხიანად და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები მიღწეულ იქნას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში დასაქმებული კადრების პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია და გამოცდილება კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელიც წარმოდგენილი იყო სრულყოფილად და აკმაყოფილებდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება
(მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა; საგნობრივი კურიკულუმები;
შეფასების რუბრიკები;
ვერიფიკაციის წესი;
დირექტორის შეფასებისა და ურთიერთშეფასების ანგარიშები;
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები;

განმავითარებელი შეფასების მაგალითები; კათედრის ოქმები;
კომპლექსური დავალებების მაგალითები;
სპორტული ინვენტარის ფოტომასალა;
სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმი;
მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა;
განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი დამატებითი აქტივობები და შემოქმდებითი დავალებები;
მასწავლებლების პირადი საქმეები;
შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია პროცესები, კერძოდ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და გადანაწილებულია ფუნქცია მოვალეობები. სკოლა აქვს მზაობა სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია პროცესები. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში აგროვებენ მონაცემებს, სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ მათ ანალიზს გამოკვეთენ პრობლემას და მოახდენენ მის გადასაჭრელად კონკრეტული აქტივობების დაგეგმვას. შესაბამისად კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზის და საშუალების გამოვლენას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განიხილება, როგორც განვითარების მხარდამჭერი ინსტრუმენტი. სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საქმიანობის პროცესში ხორციელდება საგაკვეთილო დაკვირვებები ხარისხის ჯგუფის წევრებისგან და დირექციისგან მასწავლებლები იღებენ განმავითარებელ რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. დაკვირვებების გზით გამოვლენილ მიგნებებს სკოლა იყენებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესათვის. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ეხმარება მათ განხორციელებული პროცესის ეფექტიანობის დადგენასა და შედეგების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინტერვენციების განსაზღვრაში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; •
ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; კათედრის
სხდომის ოქმები; •

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლამ ხარისხის მართვის დოკუმენტში დეტალურად გაწერა სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასების პროცესები. სკოლაში შექმნილია შიდა საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი, რომის მიზანია სწავლა სწავლებისა და მართვის პროცესების შეფასება დ გაუმჯობესება. დოკუმენტში გაწერილია შიგა და გარე მექანიზმები, რომლის მიხედვით სკოლა განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დებულებაში გაწერილია, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველი არის კომპლექსური ანალიზი. კერძოდ- შეფასება ეფუძნება როგორც რეფლექსიურ პროცესს, ასევე სტატისტიკურ მონაცემებს (შესწავლილი საფეხურების შედეგები, საგნობრივი მიღწევები, მასწავლებლის დაკვირვება). ეს მიუთითებს მრავალწყაროიანობაზე, ხოლო ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება“ კი ასახავს მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას. მაგალითად, ესე, პრეზენტაცია, პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, და სხვ. გამოყენებულია როგორც საგნობრივი დავალებები, ასევე კრიტერიუმები: ობიექტურობა, ვალიდურობა, სანდოობა. დოკუმენტში აშკარად ჩანს მრავალწყაროიან შეფასებაზე ორიენტაცია – აქცენტი არის არა ერთ მეთოდზე, არამედ კომბინირებულ ინსტრუმენტებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის 2025–2026 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა შეფასებას განიხილავს არა მხოლოდ როგორც ქულების დადგენის მექანიზმს, არამედ როგორც სწავლა–სწავლების ხარისხის მართვისთვის აუცილებელ სისტემას. დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით კერძოდ, მოსწავლის აკადემიური შედეგების პარალელურად გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები, სასკოლო პროგრამა, სასწავლო გარემო, ხელმისაწვდომი რესურსები და

თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროება. სკოლა იყენებს მრავალფეროვან ფორმებს – ესეს, პროექტს, ლაბორატორიულ კვლევას, პრეზენტაციას, დისკუსიასა და სხვა აქტივობებს, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა ინტერესებისა და უნარების მქონე მოსწავლეებს წარმოჩინონ საკუთარი მიღწევები. ამასთან, გათვალისწინებულია გაცდენილი დავალებების ალტერნატიული შესრულების შესაძლებლობა, რაც პროცესში მოქნილობას ზრდის. დოკუმენტი ასევე აღიარებს ისეთ კონტექსტებს, როგორიცაა მოსწავლისა და მისი გარემოს ინკლუზიურობა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა და ადაპტაციის შესაძლებლობა. ეს მიუთითებს, რომ შეფასების სისტემა არ არის ერთგვაროვანი, არამედ ცდილობს მოერგოს სხვადასხვა საჭიროებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მასწავლებლები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავენ მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით. . სკოლის თვითშეფასებიდან და დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. ასევე საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს ის შუალედური პროდუქტები, რომელიც იძლევა მრავალფეროვანი შეფასების საშუალებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მულტიფაქტორულ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ყურადღებას უთმობენ არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებსაც. პედაგოგების პრაქტიკა, რომლებიც მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ კომპლექსურ, მრავალმხრივ ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგები ადგენენ მოსწავლის დიფერენცირებულ პროფილს, რაც გულისხმობს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებასა და ამ უნარებზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს მაქსიმალურად ინდივიდუალიზებული და ასახავდეს მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და განვითარების დონის სრულ სურათს. გარდა ამისა, მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ როგორც დროით, ისე სივრცით პარამეტრებს, ეს ნიშნავს, რომ თითოეული შედეგი განიხილება იმ მრავალფეროვანი ფაქტორების

კონტექსტში, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს მოსწავლის აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე. შესაბამისად, შეფასების პროცესი ხდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და პოტენციალის სრულფასოვან გამოვლენას. მოცემული მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის შეფასების სიზუსტესა და სანდოობას, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და აკადემიური პროგრესის სრულფასოვან ანალიზს და ქმნის საფუძველს მიზანმიმართული პედაგოგიური ინტერვენციებისთვის. გასათვალისიწინებელია, რომ სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და მასწავლებელებს აქვთ საშუალება ზემოაღნიშნული პროცესები წარმართონ ნაკლები რისკებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კურიკულუმები; შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი** - სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“ მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მხარდაჭერას. დოკუმენტი სტრუქტურულად გამართულია, რადგან მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, კონკრეტულ აქტივობებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ინდიკატორებს. ეს ფორმატი თავისთავად ქმნის იმ „საჭიროებათა პაკეტის“ საფუძველს, რომელიც სკოლას საშუალებას აძლევს სისტემატურად გააანალიზოს არსებული გამოწვევები და დაგეგმოს მიზანმიმართული ინტერვენციები კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. მაგალითად, გეგმაში აშკარად იკვეთება კურიკულუმზე ორიენტაცია, რადგან გაწერილია ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისკენ. აქტივობები მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ და სოციალურ მიმართულებებს, რაც კომპლექსურ მიდგომაზე მიუთითებს. ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს დამატებითი რესურსების გამოყენებას სუსტი მხარეების გასაძლიერებლად, რაც მხარდაჭერის პაკეტის პრინციპს ეფუძნება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გარკვეულწილად ასახავს სკოლის მზაობას, წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით შეადგინოს ახალ სასწავლო წლის შესაბამისი საქმიანობები. დოკუმენტში მოცემული აქტივობები და მათი განხორციელების ვადები ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ სკოლა შეძლოს წინსვლისა და გამოწვევების გაანალიზება. გათვალისწინებულია მონიტორინგის მექანიზმი: აქტივობებს ახლავს ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და განმახორციელებელი სტრუქტურები. ეს უქმნის წინაპირობას, რომ დაგეგმილი სამუშაოები შეფასდეს და მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნას შემდგომი კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკაში. მასწავლებელებთან და სკოლის დირექციასთან ინტერვიუდან გამოიკვეთა , რომ სასწავლო წელი ემყარება წინა სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებსა და გამოწვევებს. საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო და სხვა სტრუქტურული ერთეულები სისტემატურად აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მიღწეულ

შედეგებს, აიდენტიფიცირებენ როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს და ამ ანალიზის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს კურიკულუმის განახლების ან ცვლილებების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი 6.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ლია ჯალაღონია/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

/ნანა გიორგობიანი/

/ნინო მახარაშვილი/

/მამუკა ხაჩიძე/

/ლია სვიმონიშვილი/

/მაია დოლაშვილი/

/დავით კიკაბიძე/

/ქეთევან ქობალია/

/ეთერ ბროლაძე/

/დავით ხუციშვილი/

 /ნინო თედიაშვილი/